


შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

უმაღლესი (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება

Regulation for Managing the High (Bachelor) Educational Process

წინასიტყვაობა

1. შემუშავებულია – ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების სამსახურის უფროსი რუსუდან დიასამიძის, საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი გურამ ქათამაძის, პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსი თემურ დევამის და იურიდიული განყოფილების უფროსი გიორგი დიასამიძის მიერ;
2. დამტკიცებულია – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის რექტორის მიერ (2020 წლის 20 მაისის სენატის სხდომის დადაგენილება, ოქმი N12);
3. მოქმედებაშია – დამტკიცების დღიდან;
4. პერიოდული შემოწმება – წარმოებს შემუშავებლის მხრიდან არაუმეტეს 12 თვის ინტერვალისა;
5. ცვლილებები – ცვლილებათა შეტანა წარმოებს იმ ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებიდან გამომდინარე, რომელთა საფუძველზეც შემუშავდა პროცედურა. ცვლილების შეტანის აუცილებლობა განისაზღვრება ხარისხის უზრუნველყოფისა და მართვის სამსახურის მიერ;
6. არსებული პროცედურა ძალას კარგავს ახალი პროცედურის (ვერსიის) დამტკიცების შემთხვევაში.




შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

უმაღლესი (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება

Regulation for Managing the High (Bachelor) Educational Process

დებულებაში ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი

ცირკულარული წერილის № (ცვლილებათა შეტანის შესახებ)	დამტკიცების თარიღი	შეცვლილი პუნქტები (გვერდები)	პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა




**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**უმაღლესი (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება**

Regulation for Managing the High (Bachelor) Educational Process

შინაარსი

1. გავრცელების სფერო	6
2. ნორმატიული მითითებები.....	6
3. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები	7
4. ზოგადი დებულებები	11
5. თავი I აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები და სტუდენტის მიღწევის შეფასება	11
1. აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები	11
2. საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა	11
3. საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის ხანგრძლივობა	11
4. საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის ვადის გაგრძელება დამატებითი სემესტრი	12
5. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, მოდიფიცირება, ცვლილებების შეტანა, დამტკიცება, გაუქმება	12
6. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორციელებლები	14
7. სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა	14
8. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების უზრუნველყოფა. ზოგადი მოთხოვნები საგანმანათლებლო პროგრამისა და პროგრამის კომპონენტისადმი	14
9. ECTS. სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)	20
10. სტუდენტთა შეფასება	20
11. საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის დასრულება. აკადემიური ხარისხი	27
12. დიპლომი	27
6. თავი II სტუდენტის სტატუსი და ინდივიდუალური სასწავლო გეგმა	29
1. სტუდენტის სტატუსის მოპოვება	29
2. ადმინისტრაციული რეგისტრაცია	30
3. სტუდენტის პირადი საქმე	30
4. სტუდენტის ხელშეკრულება	31
5. სემესტრული რეგისტრაცია. სწავლის საფასური	31
6. სტუდენტის სტატუსის შეჩერება	32
7. სტუდენტის სტატუსის აღდგენა	33
8. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა	34
9. აკადემიური შვებულება	34
10. მიღებული განათლების აღიარება	35
11. სტუდენტის მიღწევების შეფასების შეწონილი ქულა (GPA)	39
12. განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტები- სპეციალური მოთხოვნები ჯანმრთელობასა და ფიზიკურ მდგომარეობაზე	39
13. საბაკალავრო პროგრამების შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ამ პროგრამებზე ჩარიცხული ბაკალავრების შემდგომი განათლების უზრუნველყოფის მექანიზმი	40
14. სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა	41
15. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის პირობები	42
16. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტები	42




**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**უმაღლესი (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება**

Regulation for Managing the High (Bachelor) Educational Process

17. სტუდენტთა მობილობა	43
18. სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან ბუსსს ანრიში მობილობის წესით	46
ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტაცია	46
19. აღდგენის წესით ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტაცია	46
20. შიდა მობილობის წესით, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლისთვის, წარმოსადგენი დოკუმენტაცია	46
7. თავი III საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება	46
1. აკადემიური კალენდარი და სტუდენტის სასწავლო დატვირთვა	46
2. საგანმანათლებლო პროცესის წარმართვა	47
3. დამატებითი სემესტრის გავლა	47
4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა	48
8. კონფიდენციალურობა	49
დანართი 1 სტუდენტთან ხელშეკრულება	50
დანართი 2 ლექტორის და სასწავლო კურსის შეფასების ფორმა	56
დანართი 3 კითხვარი სტუდენტებისათვის	58
დანართი 4 სტუდენტთა კითხვარი აქტივობის შესახებ	59
დანართი 5 კითხვარი აკადემიური/მოწვეული პერსონალისთვის	60
დანართი 6 შეფასების უწყისი	61
დანართი 7 სილაბუსის ფორმა	62
დანართი 8 სტუდენტის გადმოყვანის წესით (შიდა მობილობა) ჩარიცხვისათვის პროგრამული თავსებადობის განსაზღვრისა და კრედიტების აღიარების დასკვნა	64
დანართი 9 სტუდენტის აღდგენის წესით ჩარიცხვისათვის პროგრამული თავსებადობის განსაზღვრისა და კრედიტების აღიარების დასკვნა	65
დანართი 10 სტუდენტის სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან გადმოყვანის წესით (მობილობა) ჩარიცხვისათვის პროგრამული თავსებადობის განსაზღვრისა და კრედიტების აღიარების დასკვნა	66
დანართი 11 მობილობის/აღდგენის წესით ჩარიცხული სტუდენტის სასწავლო ხელშეკრულება	67
დანართი 12 სტუდენტთა GPA შეფასება	69
9. პროცედურის პერიოდული შემოწმების ფურცელი	70
10. პერსონალის პროცედურასთან გაცნობის ფურცელი	71
11. შეთანხმების ფურცელი	72



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**უმაღლესი (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება**

Regulation for Managing the High (Bachelor) Educational Process


1. გავრცელების სფერო

- 1.1 წინამდებარე დებულება ადგენს ბუსსს ანრიში უმაღლეს (საბაკალავრო) საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს;
- 1.2 სასწავლო პროცესი წარიმართება წინამდებარე დებულების, მოქმედი კანონმდებლობისა და სასწავლებელში მოქმედი სხვა აქტების შესაბამისად.
- 1.3 დებულება წარმოადგენს ნორმატიულ დოკუმენტს ბუსსს ანრის სასწავლო პროცესის განმახორციელებელი პერსონალისთვის;
- 1.4 დებულების აღრიცხული ეგზემპლარები ინახება ბუსსს ანრის ხარისხის განვითარების და უზრუნველყოფის სამსახურში (როგორც ელექტრონული ასევე მყარი ვერსიები), ხოლო ელექტრონული ვერსიით დაგზავნილია საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტზე და ატვირთულია შიდა ქსელში და სასწავლებლის ვებგვერდზე;
- 1.5 პროცედურის აღრიცხული ეგზემპლარების დაგზავნას ახდენს შპს ბუსსს ანრის ხარისხის განვითარების და უზრუნველყოფის სამსახური.

2. ნორმატიული მითითებები

წინამდებარე პროცედურა შემუშავებულია შემდეგი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად:

1. საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ (ცვლილებებითა და დამატებებით);
2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანება (ცვლილებებითა და დამატებებით: 2016 წლის 29 იანვარი, ბრძანება №07/ნ; 2016 წლის 18 აგვისტო, ბრძანება №102/ნ);
3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ 2011 წლის 18 თებერვალი, №19/ნ ბრძანება (ცვლილები და დამატებები - 06/04/2017 ბრძანება № 66/ნ);
4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“, 2010 წლის 4 თებერვალი №10/ნ ბრძანება (ცვლილებითა და დამატებებით);
5. საქართველოს მეცნიერებისა და განათლების მინისტრის ბრძანება „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“, 2011 წლის 29 დეკემბერი №224/ნ (ცვლილებითა და დამატებებით);
6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის ბრძანება №120/ნ „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ (ცვლილებითა და დამატებებით);
7. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“, 2010 წლის 1 ოქტომბერი №99/ნ (ცვლილებით და დამატებებით);
8. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება „უმაღლესი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების - დიპლომისა და პროფესიული დიპლომის ფორმების დამტკიცების შესახებ“, 2011 წლის 22 ივლისი N126/ნ (ცვლილები და დამატებები);



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

უმაღლესი (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება

Regulation for Managing the High (Bachelor) Educational Process


9. სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი (საზღვაო ინჟინერია) 2017 წლის 13 ივნისის ბრძანება N371;
10. სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი (საზღვაო ნავიგაცია) 2017 წლის 13 ივნისის ბრძანება N371;
11. საქართველოს კანონი „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ (ცვლილებით და დამატებებით);
19. ავტორიზაციის და აკრედიტაციის სტანდარტები
20. საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ ცვლილებებითა და დამატებებით
21. საქართველოს განათლებისა მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება N3 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ, ცვლილებებითა და დამატებებით
22. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის ბრძანება N69/ზ „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“
23. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის ბრძანება N 10/ნ „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებებითა და დამატებებით
23. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება N 98/ნ „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ“ ცვლილებებითა და დამატებებით
23. ISO 9001:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. მოთხოვნები;
24. ISO 9000:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. ძირითადი დებულებები და ლექსიკონი;
25. ნდ 2-020101 ხარისხის სახელმძღვანელო
26. ნდ 2-010115 საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის დებულება.
27. ნდ 2-0201-01 დოკუმენტთა და მონაცემთა მართვის პროცედურა

3. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები

არსებულ პროცედურაში გამოყენებულია შემდეგი ტერმინები, განმარტებები და შემოკლებები:

3.1 ტერმინები, განმარტებები

- 1) **ავტორიზაცია** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურა, რომლის მიზანია სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა;
- 2) **აკადემიური წელი** - არის სემესტრების ერთობლიობა და მათ შორის დასვენების პერიოდი, რაც არ აღემატება 12 უწყვეტ კალენდარულ თვეს;
- 3) **აკადემიური ხარისხი** – კვალიფიკაცია, რომელსაც პირს აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის დამთავრებისას ანიჭებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ან მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება;
- 4) **აკადემიური თავისუფლება** – აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა უფლება დამოუკიდებლად განახორციელონ სამეცნიერო კვლევა, სწავლება და სწავლა;
- 5) **აკადემიური უმაღლესი განათლება** – უმაღლესი განათლების კურსი, რომელიც შეიცავს ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებს;
- 6) **აკრედიტაცია** – აკრედიტაციის სტანდარტებთან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების




შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

უმაღლესი (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება

Regulation for Managing the High (Bachelor) Educational Process

საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის განსაზღვრის პროცედურა, რომლის მიზანია განათლების ხარისხის ასამაღლებლად სისტემატიური თვითშეფასების დამკვიდრება და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების ხელშეწყობა და რომელთანაც დაკავშირებულია სახელმწიფო დაფინანსების მიღება, ასევე ამ კანონით გათვალისწინებული ზოგიერთი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება;

- 7) **ბაკალავრიატი** – აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობის საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია პირის მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის და მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის;
- 8) **ბაკალავრი** – მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის პირველი საფეხურისათვის – ბაკალავრიატისათვის დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისების შედეგად ენიჭება;
- 9) **დიპლომი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მინიჭებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- 10) **დიპლომის დანართი** – დოკუმენტი, რომელსაც დიპლომთან ერთად გასცემს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სტუდენტის მიერ მიღებული განათლების შინაარსისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მინიჭებული კვალიფიკაციის დასადასტურებლად;
- 11) **დამოუკიდებელი საათი** – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო;
- 12) **ერთიანი ეროვნული გამოცდა** – პროცედურა, რომელიც ადგენს აბიტურიენტის მზაობას უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ასათვისებლად;
- 13) **ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო** – დოკუმენტი, რომელიც აერთიანებს საქართველოში არსებულ ყველა კვალიფიკაციას, მათ შორის, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციებს;
- 14) **კვალიფიკაცია** – სწავლის შედეგი, რომელიც მიიღწევა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევიტ და დასტურდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული დიპლომით ან სერტიფიკატით;
- 15) **კოლეჯი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების მხოლოდ პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას;
- 16) **კრედიტი** – ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ; ერთი კრედიტი (ECTS) - უტოლდება 25 საათს.
- 17) **მოტილობა** – სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის თავისუფალი გადაადგილება სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესებში მონაწილეობის მისაღებად როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით, რასაც თან სდევს კვალიფიკაციის ან სწავლის პერიოდში მიღებული განათლების, კრედიტების აღიარება;
- 18) **მოდული** – სწავლების დამოუკიდებელი თანმიმდევრული ბლოკი, რომელიც აერთიანებს მონათესავე საგნებს. მოდულში განსაზღვრულია საგანთა ურთიერთკავშირები და თანმიმდევრობა. რამდენიმე მოდული შეადგენს სასწავლო გეგმას;
- 19) **ნორმატიული დოკუმენტი** – შესაბამის მატარებელზე განთავსებული ინფორმაცია, რომელიც ადგენს წესებს, საერთო პრინციპებსა და მახასიათებლებს მოღვაწეობის გარკვეული სფეროსათვის;
- 20) **პერიოდული შემოწმება** – არის ქმედება, რომელიც ითვალისწინებს ნორმატიული დოკუმენტის გადამოწმებას მასში შესაძლო ცვლილებების შეტანის მიზნით;




შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

უმაღლესი (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება

Regulation for Managing the High (Bachelor) Educational Process

- 21) **პროცედურა** - საქმიანობის ან პროცესის შესრულება დადგენილი მეთოდი (ხერხი). პროცედურა შეიძლება ეწოდოს როგორც პროცესს (პროცესების ერთობლიობას), ასევე დოკუმენტს, რომელშიც აღწერილია პროცესის განხორციელების სწორი გზა;
- 22) **რეგულირებადი პროფესია** - საქმიანობა, რომლის განხორციელების წინაპირობა, შესაბამისი კვალიფიკაციის გარდა, არის სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდა;
- 23) **რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამა** - პროგრამა, რომლისთვისაც სახელმწიფო ადგენს სპეციალურ სააკრედიტაციო მოთხოვნებს ან/და რომლითაც მაგისტრისა და დოქტორის მომზადებას სახელმწიფო უზრუნველყოფს სპეციალური კვლევითი პროგრამების მეშვეობით;
- 24) **რესურსი** - ყველაფერი რაც უზრუნველყოფს ხარისხის მენეჯმენტის სისტემის მუშაობას (მიეკუთვნება პერსონალი, მომსახურება, მოწყობილობები, დროის რესურსები, ტექნოლოგია და მეთოდოლოგია)
- 25) **საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი)** - უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების/მოდულების ერთობლიობა, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები/მოდულები შესაბამისი კრედიტებით, სტუდენტთა შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები;
- 26) **საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები** - სასწავლო კომპონენტი და სამეცნიერო-კვლევითი/კვლევითი კომპონენტი.
- 27) **საკონტაქტო საათი** - საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო;
- 28) **სტუდენტის დატვირთვა** - დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის დატვირთვა უნდა ეფუძნებოდეს დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს.
- 29) **სწავლება-სწავლის ფორმატი** - დასწრებული სწავლება.
- 30) **სწავლება-სწავლის მეთოდი** - საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პირის მიერ სტუდენტისათვის, ცოდნის გადაცემის საშუალება, როგორცაა ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი და სხვა, სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევისათვის საკონტაქტო და დამოუკიდებელ დროს გაწეული საქმიანობა. სწავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია და სხვ.).
- 31) **სასწავლო კვირა** - არის დროის პერიოდი, რომელზეც ნაწილდება საშუალო აკადემიური მიღწევის მქონე სტუდენტის სასწავლო დატვირთვა და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ დროში შესასრულებელი აქტივობების ერთობლიობას;
- 32) **სემესტრი** - არის დროის პერიოდი, რომელიც მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, გამოცდის/გამოცდების ჩატარებისა და დამატებით გამოცდაზე/გამოცდებზე სტუდენტის მიღწევის შეფასების პერიოდს;
- 33) **სენატი (შპს ბუსსს ანრის სენატი)** - სასწავლებლის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო;
- 34) **სწავლის შედეგები** - საგანმანათლებლო პროგრამის, მოდულის, სასწავლო კურსის დასრულების შედეგად სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნა და შეძენილი უნარები;
- 35) **სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი)** - დოკუმენტი, რომელიც იძლევა ინფორმაციას სასწავლო კურსის/მოდულის მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტების, შინაარსის, სწავლებისა და სწავლის მეთოდების, შეფასების კრიტერიუმების შესახებ;
- 36) **საზღვაო უმაღლესი განათლება** - უმაღლესი განათლება, რომელიც უზრუნველყოფს საზღვაოსნო მეცნიერებებში სათანადო კომპეტენციის გამომუშავებას და დასტურდება კვალიფიკაციის შესაბამისი დოკუმენტით;



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**


**უმაღლესი (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება**

Regulation for Managing the High (Bachelor) Educational Process

- 37) უმაღლესი განათლება** – სრული ზოგადი განათლების შემდგომი განათლება, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საფეხურის შესაბამისი კომპეტენციის გამომუშავებას და დასტურდება კვალიფიკაციის შესაბამისი დოკუმენტით;
- 38) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება** – უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი სასწავლო ან სასწავლო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, რომლის ძირითადი ფუნქციაა უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობისა და სამეცნიერო კვლევების ან უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება, აგრეთვე შემოქმედებითი მუშაობის წარმართვა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შედგება ძირითადი საგანმანათლებლო და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან და ანიჭებს შესაბამის კვალიფიკაციებს;
- 39) უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩო** – ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შემადგენელი დოკუმენტი, რომელშიც სისტემატიზებულია საქართველოში არსებული უმაღლესი განათლების ყველა კვალიფიკაცია;
- 40) ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას;
- 41) ხარისხის უზრუნველყოფა** – შიდა და გარე შეფასების პროცედურები, რომელთა განხორციელება ხელს უწყობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში განათლების ხარისხის გაუმჯობესებას;
- 42) შეფასების კომპონენტები** – შეფასების ფორმების ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს, რომელიც შეიძლება აერთიანებდეს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, აუდიოვიზუალური ნაწარმოების შექმნა, სპექტაკლი, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვა).
- 43) შეფასების კრიტერიუმი** – შეფასების მეთოდის საზომი ერთეული, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. შეფასების მეთოდი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელი საშუალება/საშუალებები (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, აუდიოვიზუალური ნაწარმოების წარმოდგენა, სპექტაკლში მონაწილეობა/დადგმა, საკონცერტო შესრულება, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა და სხვა);
- 44) შეფასების ფორმები** – შეფასების ფორმებია შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნითი შეფასება, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას;

3.2. შემოკლებები

1. **ბუსსს ანრი (სასწავლებელი)** – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი;
2. **მფ** - მოქმედი ფორმა
3. **ნდ** - ნორმატიული დოკუმენტი
4. **ხარისხის სამსახური** - შპს ბუსსს ანრის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური
5. **ხმს** - ხარისხის მართვის სისტემა
6. **ფაკულტეტი** - საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტი



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**უმაღლესი (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება**

Regulation for Managing the High (Bachelor) Educational Process

7. **ECTS** - The European Credit Transfer (and Accumulation) System, კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული სისტემა;
8. **UNESCO/CEPES** - განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (იუნესკოს) უმაღლესი განათლების ევროპული ცენტრი;
9. **IMO** - საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია.
10. **STCW** - საერთაშორისო კონვენცია მეზღვაურთა მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის შესახებ“

4. ზოგადი დებულებები

- 1) წინამდებარე დებულება არეგულირებს სასწავლებელში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან, სტუდენტის სტატუსის მოპოვებასთან, შეჩერებასთან, აღდგენასთან, შეწყვეტასთან, მობილობასთან, განათლების აღიარებასთან, სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და მართვასთან დაკავშირებულ და სხვა საკითხებს;
- 2) ყველა საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დებულებაში, და სასწავლებლის სხვა რეგულაციებში, გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე;
- 3) სასწავლებელი უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას, ხელმისაწვდომობას, უზრუნველყოფს ცვლილებების შესახებ სტუდენტებისა და პერსონალის ინფორმირებას, მათ შორის, ვებ-გვერდის მეშვეობით. სასწავლებლის სტუდენტები და დასაქმებული პირები ვალდებული არიან რეგულარულად გაეცნონ ამ ინფორმაციას და შეასრულონ წინამდებარე და სხვა მოქმედი დებულებებით განსაზღვრული მოთხოვნები და წესები. ამ მოთხოვნების/წესების არცოდნა არ ათავისუფლებს მათ სასწავლებელში მოქმედი რეგულაციებით დადგენილი წესების შესრულების ვალდებულებისაგან და მათი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

თავი I

აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები და სტუდენტის მიღწევის შეფასება

1. აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები


ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის სახე არის “კოლეჯი“ და საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ შესაბამისად მას აქვს უფლება განახორციელოს აკადემიური უმაღლესი განათლების I საფეხურის (ბაკალავრიატის) საგანმანათლებლო პროგრამები.

სასწავლებელში სწავლების ენა არის ქართული. დასაშვებია უცხოურ ენაზე საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული კომპონენტის შეთავაზება. საგანმანათლებლო პროგრამის მხოლოდ უცხოურ ენაზე წარმართვა დაშვებულია, თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით და შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროსთან.

2. საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების მოცულობა არის არანაკლებ 240 კრედიტისა;

3. საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის ხანგრძლივობა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის განსაზღვრული ხანგრძლივობაა 8 სემესტრი;



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

უმაღლესი (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება

Regulation for Managing the High (Bachelor) Educational Process

4. საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის ვადის გაგრძელება. დამატებითი სემესტრი

სასწავლებელში სწავლის გაგრძელების ვადა - დამატებითი სემესტრი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განსაზღვრულ ძირითად ვადაში (8 სემესტრი) დაუსრულებლობის შემთხვევაში, სტუდენტს აქვს უფლება დამატებით გაიაროს 4 სემესტრი;

წინამდებარე დებულებით დადგენილი ვადით დამატებით სემესტრ(ებ)ში სწავლა შეიძლება გაგრძელდეს, თუ სტუდენტს საგანმანათლებლო პროგრამისთვის დადგენილ ძირითად ვადებში (არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი) არ აქვს შესრულებული საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნები და მიღებული შესაბამისი კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი კრედიტების რაოდენობა, რადგან:

ა) ასათვისებელი დარჩა კრედიტების ისეთი რაოდენობა, რომლის მიღება შეუძლებელი იყო საგანმანათლებლო პროგრამის ძირითად ვადაში (ხელახლა აქვს შესასწავლი სასწავლო კურსების/პროგრამის კომპონენტები, არ აქვს შესწავლილი პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსები/პროგრამის კომპონენტები მათი წინაპირობების შეუსრულებლობის გამო, არ აქვს მიღებული პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკის კომპონენტის, საბაკალავრო ან სხვა ნაშრომის კრედიტები);

ბ) დოკუმენტურად დადასტურებულია ისეთი ობიექტური გარემოების არსებობა, რომლის გამო შეუძლებელი იყო ძირითად ვადაში საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის დასრულება.

დამატებით სემესტრებში სწავლის გაგრძელებით უნდა იყოს შესაძლებელი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნის შესრულება და შესაბამისი კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი კრედიტების რაოდენობის მიღება;

განსაკუთრებულ შემთხვევებში, სწავლის გაგრძელებისთვის დადგენილზე მეტი ვადით სწავლა შეიძლება გაგრძელდეს თუ დოკუმენტურად დასტურდება სტუდენტისგან დამოუკიდებელი ისეთი ობიექტური გარემოებების არსებობა, რის გამო მას სჭირდება მეტი ვადით სწავლის გაგრძელება. ყველა ასეთი შემთხვევა განიხილება რექტორის მიერ ინდივიდუალურად და არსებული გარემოების შესწავლის საფუძველზე მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილება.

დამატებით სემესტრზე რეგისტრაცია ხორციელდება დებულებით განსაზღვრული აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციისთვის განსაზღვრული პროცედურების მიხედვით;


დამატებით სემესტრში სწავლის საფასურის დაანგარიშება ხდება იმ აკადემიურ წელს არსებული ერთი კრედიტის ღირებულების კონკრეტული კურს(ებ)ის/კომპონენტ(ებ)ისთვის მინიჭებულ კრედიტებზე გამრავლებით

5. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, მოდიფიცირება, ცვლილებების შეტანა, დამტკიცება, გაუქმება

1) საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირება შეუძლია სასწავლებლის აკადემიურ პერსონალს, საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების შესახებ ის წინადადებით მიმართავს ფაკულტეტის დეკანს.

2) ახალი პროგრამის შექმნის თაობაზე განაცხადი შესაძლოა დაფუძნებული იყოს ბაზრის კვლევის შედეგზე ან/და დარგში აღმოჩენილ სიახლეზე, სასწავლებლის კვლევით პრიორიტეტებზე, უცხოურ და ადგილობრივ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობაზე.

3) ფაკულტეტის დეკანი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წინადადებას წარუდგენს ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც დადებითი დასკვნის შემთხვევაში, წინადადებით მიმართავს სენატს. სენატი განიხილავს ახალი საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების საკითხს და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, იქმნება პროგრამის შემუშავების ჯგუფი.




**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**უმაღლესი (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება**

Regulation for Managing the High (Bachelor) Educational Process

- 4) ახალი პროგრამების შემუშავება, არსებული პროგრამების მოდიფიცირების პროცესში გათვალისწინებულია დაინტერესებული მხარეების, დამსაქმებელების, სტუდენტების/კურსდამთავრებულების ჩართულობა.
- 5) საგანმანათლებლო პროგრამებს განხორციელებს ფაკულტეტი მიმართულებებთან ერთად;
- 6) ფაკულტეტს შეუძლია თავად განსაზღვროს კურიკულუმის და სილაბუსის დიზაინი საქართველოში მოქმედი სტანდარტებისა და წინამდებარე დებულების მოთხოვნათა დაცვით;
- 7) საგანმანათლებლო პროგრამის/ცვლილებების პროექტი, ფაკულტეტის დეკანის მიერ გადაეცემა ხარისხის სამსახურს საგანმანათლებლო პროგრამის (კურიკულუმის) და სასწავლო კურსების/პროგრამის კომპონენტების პროგრამების (სილაბუსები) შესწავლის, პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსის შესახებ საქართველოში მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;
- 8) ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი დასკვნის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა წარედგინება სასწავლებლის სენატს. ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზების/შესაბამისობის არსებობის შემთხვევაში ფაკულტეტი პროგრამის ხელმძღვანელებსა და მიმართულებებთან ერთად განიხილავს ამ შენიშვნების გათვალისწინების საჭიროებას - ხდება მათი გამოსწორება ან გათვალისწინების გარეშე, შესაბამისი წერილობითი დასაბუთებით, სენატისთვის გადაცემა. თუ ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ამავედროულად არის სენატის წევრი, მაშინ იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება ხარისხის მართვას მას არ აქვს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება;
- 9) ფაკულტეტის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის განსხვავებული ხედვის შემთხვევაში სენატი შეისწავლის ორივე მხარის არგუმენტებს;
- 10) სენატი წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის/ცვლილებების განხილვის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების ან დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ;
- 11) სენატი იღებს გადაწყვეტილებას ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის/ ცვლილებების დამტკიცების შესახებ, თუ საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება სასწავლებლის მისიას და პრიორიტეტებს, ითვალისწინებს დარგში არსებულ სიახლეებს, უზრუნველყოფს დაგეგმილი შედეგების მიღწევას და კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობას საქართველოს და საერთაშორისო განათლების და შრომის ბაზარზე, არსებობს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი, მისი სპეციფიკის შესაბამისი, მატერიალური და ადამიანური რესურსი და სხვა;
- 12) ფაკულტეტი უფლებამოსილია შეიმუშაოს და სენატს წარუდგინოს რეკომენდაცია საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ. სენატი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების ან გაუქმებაზე უარის თქმის შესახებ და შეიმუშაოს რეკომენდაციები მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების/ცვლილებების შეტანის შესახებ;
- 13) საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების საფუძვლელი შეიძლება იყოს სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული სპეციალისტების გამოკითხვის შედეგები, პოტენციური დამსაქმებლების და დარგის სპეციალისტების მოსაზრებები, ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციები ან/და სხვა;
- 14) საგანმანათლებლო პროგრამა, სტუდენტთა შემდგომი განათლების უზრუნველყოფით, შეიძლება გაუქმდეს, თუ მასზე არ სწავლობს არც ერთი სტუდენტი, პროგრამა არარენტაბელურია, აღარ შეესაბამება სასწავლებლის მისიას (საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**უმაღლესი (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება**

Regulation for Managing the High (Bachelor) Educational Process

შემთხვევაში სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესები განსაზღვრულია წინამდებარე დებულების მეორე თავის 13-ე მუხლში);

6. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორციელებლები

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს პროგრამის შესაბამის დარგში დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს პროგრამის შემუშავების, მოდიფიცირების/ცვლილებების შეტანის ორგანიზებას, სტუდენტების დახმარებას საგანმანათლებლო პროგრამასთან, პროგრამის სპეციფიკასთან, პროგრამის სასწავლო კურსებთან/კომპონენტებთან დაკავშირებულ საკითხებზე და სხვ. საგანმანათლებლო პროგრამას, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება ჰყავდეს რამდენიმე ხელმძღვანელი, რომლებიც აკმაყოფილებენ ზემოთ მითითებულ მოთხოვნებს. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართულია აკადემიური პერსონალი - ასევე პროგრამის განხორციელებაში, დადგენილი წესით მონაწილეობენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტებიც.


7. სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა

სტუდენტის მიღწევების გაუმჯობესების, სტუდენტსა და ლექტორს შორის ინდივიდუალური მუშაობის გაზრდის მიზნით პროგრამის კომპონენტების განმახორციელებლების დატვირთვაში გათვალისწინებულია სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა (კონსულტაციები). სემესტრის განმავლობაში პროგრამის კომპონენტების განმახორციელებლები სტუდენტებს უტარებენ კონსულტაციებს, ეხმარებიან მათ შესასწავლი საკითხების უკეთ გაგებაში, მიღწეული სწავლის შედეგების გაუმჯობესებაში და სხვ. კონსულტაციები (გათვალისწინებულია პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში) ტარდება წინასწარ განსაზღვრულ დღეებში კონსულტაციების ცხრილის მიხედვით სტუდენტების დამოუკიდებელი მეცადინეობის საათების ხარჯზე.

8. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების უზრუნველყოფა.

ზოგადი მოთხოვნები საგანმანათლებლო პროგრამისა და პროგრამის კომპონენტისადმი

8.1 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების უზრუნველყოფა ხდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის და განხორციელების მონიტორინგის, აკადემიური მოსწრების მონიტორინგი, ანკეტირების მეთოდით სტუდენტების, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის და მოწვეული სპეციალისტების ანონიმური გამოკითხვების და პოტენციური დამსაქმებლების და დარგის სპეციალისტების მოსაზრებების შესწავლის გზით. ანონიმური გამოკითხვის მეშვეობით სტუდენტები, აკადემიური პერსონალი და მოწვეული სპეციალისტები აფასებენ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესს. სტუდენტები ასევე აფასებენ პროგრამის განმახორციელებელ პირებს. პოტენციური დამსაქმებლები და დარგის სპეციალისტები აფასებენ პროგრამის აქტუალობას, შინაარსს, მიზნებს და დაგეგმილ შედეგებს - კურსდამთავრებულების კომპეტენციებს, პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების და კონკურენტუნარიანობის შესაძლებლობას და სხვ. დასაქმების ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორების, დასაქმებისთვის და უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელებისთვის კურსდამთავრებულის აუცილებელი კომპეტენციების დადგენა შესაძლებელია როგორც სასწავლებლის, ისე სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (შემდეგში - „უსდ“) ანალოგიური საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულების მოსაზრებების შესწავლით. მონიტორინგისა და გამოკითხვების შედეგების, საგანმანათლებლო პროგრამის და მისი კომპონენტების შეფასების, კურსდამთავრებულების, პოტენციური დამსაქმებლების და



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**


**უმაღლესი (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება**

Regulation for Managing the High (Bachelor) Educational Process

დარგის სპეციალისტების მიერ გამოთქმული მოსაზრებების და წინადადებების ანალიზის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციების და პროგრამის სრულყოფის მექანიზმები გამოიყენება მეცნიერებისა და პრაქტიკის სიახლეების, შრომის და განათლების ბაზარზე არსებული მოთხოვნების და ტენდენციების შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის დახვეწის, დაგეგმილი შედეგების სრულყოფის და კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ინდიკატორები:

- ✓ პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის სხვადასხვა სახის გამოკითხვების შედეგები;
- ✓ პროგრამის სტუდენტების სხვადასხვა სახის გამოკითხვების შედეგები;
- ✓ პროგრამის კომპონენტებს შორის კრედიტების განაწილების სისწორის შემოწმება და სტუდენტის რეალური დატვირთვის შესახებ აკადემიური პერსონალის, მოწვეული სპეციალისტების და სტუდენტების გამოკითხვებით მიღებული ინფორმაციის ანალიზი;
- ✓ პოტენციური დამსაქმებლების და დარგის სპეციალისტების გამოკითხვების და შეფასებების ანალიზის შედეგები;
- ✓ დასაქმების ხელშემწყობი ფაქტორებისა და კურსდამთავრებულთა აუცილებელი კომპეტენციების დადგენის მიზნით სასწავლებლის და სხვა უსდ-ის ანალოგიური პროგრამის დასაქმებული კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები;
- ✓ უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების ხელშემწყობი ფაქტორებისა და კურსდამთავრებულთა აუცილებელი კომპეტენციების დადგენის მიზნით სასწავლებლის და სხვა უსდ-ის ანალოგიური პროგრამის კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები;
- ✓ პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობა (4 წლის დინამიკა);
- ✓ პროგრამაზე სწავლით დაინტერესების დინამიკა (4 წლის დინამიკა);
- ✓ პროგრამის პირველ კურსზე სტუდენტთა ჩარიცხვის დინამიკა (სტუდენტების 4 წლის დინამიკა);
- ✓ შიდა მობილობით პროგრამაზე გადმოსული და სხვა პროგრამებზე გადასული სტუდენტების რაოდენობა, თანაფარდობა და მობილობის დინამიკა (4 წლის დინამიკა);
- ✓ პროგრამაზე მობილობით გადმოსული სხვა უსდ-ს სტუდენტების და სხვა უსდ-ში გადასული სტუდენტების რაოდენობა, თანაფარდობა, მობილობის დინამიკა (რამდენიმე წლის განმავლობაში) და სასწავლებელში გადმოსვლის/სასწავლებლიდან გადასვლის ტენდენციის ანალიზი;
- ✓ პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობა (რამდენიმე წლის განმავლობაში);
- ✓ პროგრამის პირველ კურსზე ჩარიცხული სტუდენტების და კურსდამთავრებულების თანაფარდობა (რამდენიმე წლის განმავლობაში);
- ✓ მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამის სფეროში კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი და მათი დასაქმების ხელშემწყობი ფაქტორების ანალიზი (რამდენიმე წლის განმავლობაში);
- ✓ უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მსურველი და ჩარიცხული კურსდამთავრებულების რაოდენობა (რამდენიმე წლის განმავლობაში);
- ✓ პროგრამის შეფასების და სრულყოფის პროცესში ჩართული პოტენციური დამსაქმებლებისა და დარგის სპეციალისტების რაოდენობა (რამდენიმე წლის განმავლობაში).

მითითებული ინდიკატორების დანიშნულებაა საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შეფასება რაოდენობრივი მაჩვენებლების მეშვეობით, მათი ნაწილის გამოყენება შესაძლებელია



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

უმაღლესი (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება


Regulation for Managing the High (Bachelor) Educational Process

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დაწყებისთანავე, ხოლო ნაწილის - პროგრამის განხორციელების პროცესში, რა დროსაც შეიძლება საჭირო გახდეს ახალი ინდიკატორების შემუშავება და არსებულის დახვეწა.

საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლა-სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების პროცედურა აღწერილია ბუსსს ანრის „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში“.

8.2 ზოგადი მოთხოვნები საგანმანათლებლო პროგრამისადმი. საგანმანათლებლო პროგრამის აღწერლობა

- 1) საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი) - უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების/მოდულების ერთობლიობა, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები/პროგრამის კომპონენტების შესაბამისი კრედიტებით, სტუდენტთა შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები;
- 2) საგანმანათლებლო პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს სასწავლებლის მისიას, იყოს შედგენილი ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის (ECTS) შესაბამისად და ჰქონდეს თანმიმდევრული სტრუქტურა;
- 3) საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების განაწილება ხდება პროგრამის ყველა კომპონენტს შორის (როგორცაა მოდული, სასწავლო კურსი, პროგრამის სხვა კომპონენტები) და ეფუძნება საშუალო აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტის დატვირთვის რეალურ შეფასებას, რომელიც საჭიროა ყოველი კომპონენტისათვის დაგეგმილი სწავლის შედეგის მისაღწევად;
- 4) საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამით დასახული მიზნებისა და დაგეგმილი შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს ბაკალავრიატის საფეხურის აღმწერის სათანადო დონით (საგანმანათლებლო პროგრამის საფეხურის შესაბამისად);
- 5) საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები უნდა იყოს ლოგიკური და უზრუნველყოს სტუდენტისთვის ცოდნის გადაცემა საფეხურბრივი პრინციპით "ზოგადიდან - კონკრეტულამდე, მარტივიდან - რთულამდე", რათა ეტაპობრივად და თანმიმდევრულად, პროგრამის კომპონენტების შესწავლით უკვე შექმნილი ცოდნისა და უნარების გაღრმავებით და სრულყოფით და ახალი კომპეტენციების ჩამოყალიბებით მოხდეს პროგრამით დასახული მიზნებისა და დაგეგმილი შედეგების მიღწევა. კურსდამთავრებულის კომპეტენციების ფორმირების ლოგიკური თანმიმდევრობა და სტუდენტის კომპეტენციების ევოლუცია განაპირობებენ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმას;
- 6) პროგრამის აღწერილობაში უნდა იყოს მითითებული:
 - ა) საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ქართულად და ინგლისურად;
 - ბ) აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური (პროგრამის შესაბამისად: ბაკალავრიატი - აკადემიური უმაღლესი განათლების I საფეხური);
 - გ) ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამის მიმართულება, სპეციალობა.
 - დ) მისანიჭებელი კვალიფიკაცია და კვალიფიკაციის კოდი (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად); პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ბაკალავრიატი - არანაკლებ 240 კრედიტისა)
 - ე) სწავლების ენა (ქართული ენა, უცხოურ ენაზე დასაშვებია პროგრამის ცალკეული სასწავლო კომპონენტის შეთავაზება, მის გასავლელად აუცილებელია უცხოური ენის შესაბამის დონეზე ფლობის დადგენა სასწავლო კომპონენტის წინაპირობად და




**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**უმაღლესი (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება**

Regulation for Managing the High (Bachelor) Educational Process

გამოსაყენებელი ლიტერატურის უცხოურ ენაზე მითითება. მხოლოდ უცხოურ ენაზე პროგრამის წარმართვა დაშვებულია, თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით და შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან. საგანმანათლებლო პროგრამის უცხოურ ენაზე შეთავაზების შემთხვევაში უნდა მიეთითოს შესაბამისი ენა და პროგრამის დაშვების წინაპირობად განისაზღვროს უცხოური ენის ცოდნის დონე);

- ვ) პროგრამაზე მიღების წინაპირობები (უნდა იყოს გამჭვირვალე, უზრუნველყოფდეს წინასწარი კომპეტენციების იდენტიფიცირებას და შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას);
- ზ) პროგრამის მიზნები (უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის სპეციფიკას და დაგეგმილ შედეგებს, იყოს მკაფიოდ ჩამოყალიბებული, მიმართული სტუდენტის კომპეტენციების გამომუშავებასა და დასაქმების სფეროს განსაზღვრაზე, ორიენტირებული დასაქმების ბაზარზე და მიღწევადი);
- თ) სწავლის შედეგები (სწავლის შედეგი არის განაცხადი იმის შესახებ, თუ რა კომპეტენციები უნდა ჰქონდეს კურსდამთავრებულს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ. სწავლის შედეგები უნდა იყოს აღწერილი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით, შეესაბამებოდეს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს (პროგრამის საფეხურის შესაბამისად: ბაკალავრიატის საფეხურს და კონკრეტულ დარგობრივ მახასიათებელს (არსებობის შემთხვევაში), ეყრდნობოდეს საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო კომპონენტების შედეგებს, უზრუნველყოფდეს კურსდამთავრებულთა განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას და კონკურენტუნარიანობას განათლების და დასაქმების ბაზარზე);
- ი) სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები (სწავლების მეთოდები უნდა უზრუნველყოფდეს კონკრეტული პროგრამის კომპონენტით, მათი ერთობლიობა კი – პროგრამით დაგეგმილი შედეგების მიღწევას);
- კ) სტუდენტის მიღწევების შეფასების სისტემა უნდა შეესაბამებოდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ შეფასების სისტემას და უზრუნველყოფდეს სტუდენტების მიღწევების სრულფასოვან შეფასებას;
- ლ) სასწავლო გეგმა (უნდა ასახავდეს სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებებს, მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტს, რომელშიც ხდება კრედიტების მინიჭება. სასწავლო გეგმაში მიეთითება პროგრამის კომპონენტის დასახელება, მოცულობა კრედიტებით, შესწავლის წინაპირობები და სტატუსი (სავალდებულო/არჩევითი), სტუდენტის დატვირთვა (საათებში) და სხვ. სასწავლო გეგმაში შეთავაზებული არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობის ჯამი არ უნდა აღემატებოდეს საგანმანათლებლო პროგრამით არჩევითი კომპონენტისთვის გათვალისწინებული კრედიტების საერთო რაოდენობას. პროგრამაში შემავალი კომპონენტების შესწავლის თანმიმდევრობა და კომპონენტზე დაშვების წინაპირობები უნდა იყოს ლოგიკური და უზრუნველყოფდეს ცოდნის გადაცემას საფეხურებრივი პრინციპით "ზოგადიდან კონკრეტულამდე, მარტივიდან რთულამდე");
- მ) სწავლის შედეგების რუკა (მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა კომპონენტს, მათ შორის პროგრამით შემოთავაზებულ არჩევით სასწავლო კურსებს. რუკაში არჩევითი სასწავლო კურსების მითითებით სტუდენტს გაუმარტივდება არჩევითი სასწავლო კურსების არჩევით და კონცენტრაციით მისთვის სასურველი კომპეტენციების დაგეგმვა და საკუთარი პროფილის ფორმირება);




**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**უმაღლესი (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება**

Regulation for Managing the High (Bachelor) Educational Process

- ბ) კურსდამთავრებულის დასაქმების სფერო (უნდა შეესაბამებოდეს საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას და დაგეგმილ შედეგებს - კურსდამთავრებულის კომპეტენციებს);
- ო) კურსდამთავრებულის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა (საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში - აკადემიური უმაღლესი განათლების II საფეხურზე (მაგისტრატურაში))
- პ) ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ (მატერიალური რესურსი უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის სპეციფიკას, იძლეოდეს პროგრამის განხორციელების, დასახული მიზნებისა და დაგეგმილი შედეგების მიღწევის შესაძლებლობას);
- ჟ) ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ (საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში, აკადემიური პერსონალის გარდა, შეიძლება მონაწილეობდნენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტები და მასწავლებლები (შემდგომში - მოწვეული პერსონალი. დაუშვებელია პროგრამის განხორციელება მხოლოდ მოწვეული პერსონალის მიერ).
- რ) საგანმანათლებლო პროგრამებში გათვალისწინებული უნდა იყოს საერთაშორისო საზღვაო კონვენციის STCW მოთხოვნები, რაც ითვალისწინებს საცურაო პრაქტიკის გავლას საზღვაო გემებზე, სამუშაო დიპლომისათვის აუცილებელი ლიცენზიის მოსაპოვებლად.
- 8.3** გარდა მითითებულისა, საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობა შეიძლება შეიცავდეს პროგრამასთან დაკავშირებულ სხვა ინფორმაციასაც (მაგ., პროგრამის აქტუალობა, სწავლის საფასური ან/და სხვ.). საგანმანათლებლო პროგრამას (კურიკულუმს) ერთვის პროგრამით გათვალისწინებული ყველა კომპონენტის პროგრამა (სილაბუსი).
- 8.4** საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების შედგენისას ასევე გათვალისწინებული უნდა იქნეს რომ პროგრამა უნდა აკმაყოფილებდეს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) მოთხოვნებს, რომელიც რეგულარულად კონტროლირდება სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ.
- 8.5** პროგრამის შედგენისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს მეზღვაურთა „წვრთნის, სერტიფიცირებისა და ვახტის გაწვევის სტანდარტების“ (STCW) საერთაშორისო კონვენციაში მოცემული აუცილებელი კომპეტენციების ნუსხა, და იმ აუცილებელი სასწავლო დისციპლინების (ე.წ. Model Course) დეტალური აღწერა (სილაბუსი), რომლებიც უნდა შეისწავლოს მომავალმა მეზღვაურმა. ამის გამო საზღვაო ნავიგაციისა და გემის მექანიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების აგებისას გათვალისწინებული და დაკმაყოფილებული უნდა იქნას საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) შესაბამისი მოდელ-კურსების მოთხოვნები;
- 8.6** საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას ყურადღება უნდა მიექცეს სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ 13.06. 2017 წელს შემუშავებულ უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლებს საზღვაო ინჟინერისა და საზღვაო ნავიგაციის მიმართულებით. კერძოდ,
- ა) სპეციალობა - **საზღვაო ინჟინერია - გემის მექანიკა** - ზოგადი ინფორმაცია, დარგობრივი მახასიათებლის მიზანი, დარგის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტები, დარგის აღწერა, დასაქმების შესაძლებლო სფერო/სფეროები და სპეციალური მოთხოვნები, საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა და შესაძლო სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების განსაკუთრებული პირობები, დარგობრივი კომპეტენციები (დარგობრივი ცოდნა და უნარები) - STCW კოდექსის A-III/1; III/2 ცხრილის მოთხოვნათა



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

უმაღლესი (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება

Regulation for Managing the High (Bachelor) Educational Process


შესაბამისად, მოთხოვნები საგანმანათლებლო პროგრამის რესურსებისადმი, მოთხოვნები მატერიალური რესურსისადმი, დამატებითი ინფორმაცია.

ბ) სპეციალობა - **საზღვაო ნავიგაცია** - ზოგადი ინფორმაცია, დარგობრივი მახასიათებლის მიზანი, დარგის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტები, დარგის აღწერა, დასაქმების შესაძლებლო სფერო/სფეროები და სპეციალური მოთხოვნები, საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა და შესაძლო სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების განსაკუთრებული პირობები, დარგობრივი კომპეტენციები (დარგობრივი ცოდნა და უნარები) - STCW კოდექსის A-II/1; A-II/2; A-II/3 ცხრილების შესაბამისად, მოთხოვნები საგანმანათლებლო პროგრამის რესურსებისადმი, მოთხოვნები მატერიალური რესურსისადმი, დამატებითი ინფორმაცია.

8.7 ყველა ეს მოთხოვნა გათვალისწინებულ უნდა იქნეს სასწავლო კურსების სილაბუსების შემუშავების დროსაც.

8.8 ზოგადი მოთხოვნები საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებისადმი. სილაბუსი

- 1) საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების ერთობლიობით უნდა იყოს უზრუნველყოფილი პროგრამის დაგეგმილი შედეგების მიღწევა;
- 2) პროგრამის კომპონენტებს მიეკუთვნება ის სასწავლო კურსები/მოდულები, პრაქტიკა, რომელთა მეშვეობით მიიღწევა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების შესრულება და დაგეგმილი შედეგების მიღწევა;
- 3) პროგრამის კომპონენტის შესწავლის წინაპირობები, შინაარსი, კრედიტების მოცულობა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მეცადინეობის საათების რაოდენობა/თანაფარდობა, სწავლების მეთოდები, სტუდენტის მიღწევების შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, გამოყენებული ლიტერატურა/რესურსები ერთობლიობაში უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამის კომპონენტით დასახული მიზნებისა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას;
- 4) ყველა სასწავლო კურსი და პროგრამის კომპონენტი როგორც წესი არის ერთსემესტრიანი;
- 5) ერთი და იგივე შინაარსის და მოცულობის მოდული ან სასწავლო კურსი ყველა საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტისათვის მოიცავს თანაბარი რაოდენობის კრედიტებს;
- 6) პროგრამის კომპონენტის პროგრამა (**სილაბუსი**) – დოკუმენტი, რომელიც იძლევა ინფორმაციას პროგრამის კომპონენტის მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტების, შინაარსის, სწავლებისა და სწავლის მეთოდების, შეფასების კრიტერიუმების და სხვ. შესახებ;
- 7) სილაბუსში უნდა იყოს მითითებული:
 - ა) საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის დასახელება;
 - ბ) საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება;
 - გ) აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური;
 - დ) სწავლების ენა;
 - ე) სასწავლო კურსის/პროგრამის კომპონენტის სტატუსი (სავალდებულო/არჩევითი);
 - ვ) სილაბუსის ავტორი და საკონტაქტო ინფორმაცია;
 - ზ) კრედიტების რაოდენობა, შესაბამისი საკონტაქტო და დამოუკიდებელი მეცადინეობის საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის გათვალისწინებით;
 - თ) სასწავლო კურსზე/პროგრამის კომპონენტზე დაშვების წინაპირობები;
 - ი) სასწავლო კურსის/პროგრამის კომპონენტის მიზნები;
 - კ) სწავლის შედეგები;
 - ლ) შინაარსი;
 - მ) სწავლების (სწავლის შედეგების მიღწევის) მეთოდები;
 - ნ) სტუდენტის მიღწევების შეფასების სისტემა, მეთოდები და კრიტერიუმები;
 - ო) მითითებას STCW კოდექსთან: მიმართებაში, STCW კოდექსის შესაბამისი თავის და



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

უმაღლესი (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება

Regulation for Managing the High (Bachelor) Educational Process

განყოფილების აღნიშვნით.

პ) ძირითადი და დამატებითი/დამხმარე ლიტერატურა და სხვა რესურსები.


- 8) გარდა მითითებულისა, სილაბუსი შეიძლება შეიცავდეს სასწავლო კურსთან/პროგრამის კომპონენტთან დაკავშირებულ სხვა ინფორმაციასაც (მაგ., სწავლების სემესტრი, კონსულტაციების ჩატარების პერიოდულობა და სხვა). სასწავლო კურსის/პროგრამის კომპონენტის სილაბუსის ავტორი/განმახორციელებელი, სასწავლო კურსის/პროგრამის კომპონენტის სპეციფიკის გათვალისწინებით, განსაზღვრავს სასწავლო კურსის/პროგრამის კომპონენტის მოცულობას კრედიტებში, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მეცადინეობის საათების თანაფარდობას, საკონტაქტო საათების განაწილებას სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად, სასწავლო კურსზე/პროგრამის კომპონენტზე დაშვების წინაპირობებს, მიზნებს და შედეგებს, სწავლების ფორმატს და მეთოდებს, სტუდენტის მიღწევების შეფასების მეთოდებს და კრიტერიუმებს, ძირითად და დამხმარე ლიტერატურას, მეთოდურ რეკომენდაციებს სასწავლო-საწარმოო და საცურაო პრაქტიკების გასავლელად და სხვა

9. ECTS. სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

- 1) ECTS - ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული საკრედიტო სისტემის დანიშნულებაა აკადემიური დატვირთვის ასახვა, რომელიც სტუდენტს ესაჭიროება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების და დაგეგმილი შედეგების მისაღწევად. სტუდენტთა დატვირთვის შესაფასებლად გამოიყენება კრედიტი - ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, გამოხატული დროის ერთეულში - საათებში. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით. კრედიტი არ შეიძლება იქნეს გაანგარიშებული მხოლოდ სტუდენტის მიერ პროფესორ-მასწავლებლებთან სასწავლო გარემოში გატარებული საათების (საკონტაქტო საათების) მიხედვით.
- 2) სასწავლებელში:
- ა) 1 კრედიტი = 25 საათს.
 - ბ) აკადემიური წელი 2-სემესტრიანია და შეადგენს 40 კვირას. ერთი სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 20 კვირას;
 - გ) აკადემიური წლის განმავლობაში სტუდენტის დატვირთვა შეადგენს საშუალოდ 60 კრედიტს;
 - დ) სემესტრში სტუდენტის დატვირთვა შეადგენს საშუალოდ 30 კრედიტს;
 - ე) საგანმანათლებლო პროგრამის ან სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის წლიური დატვირთვა იყოს 60 კრედიტზე ნაკლები ან აღემატებოდეს 60 კრედიტს, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა.
- 3) სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:
- ა) ლექციაზე დასწრებას, ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ ან/და ლაბორატორიულ მეცადინეობას ან/და სხვა;
 - ბ) სხვადასხვა სახის პრაქტიკებს;
 - გ) გამოცდების მომზადება-ჩაბარებას;
 - დ) დამოუკიდებელ მეცადინეობას.
- 4) სტუდენტის დატვირთვის კომპონენტების შერჩევა ხდება საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან და უმაღლესი განათლების საფეხურიდან გამომდინარე.

10. სტუდენტთა შეფასება

10.1 შეფასების ძირითადი პრინციპები



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

უმაღლესი (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება

Regulation for Managing the High (Bachelor) Educational Process


- ა) საჯაროობის პრინციპი – ინფორმაცია შეფასების მეთოდების, ფორმებისა და კრიტერიუმების შესახებ უნდა იყოს ხელმისაწვდომი ყველა სტუდენტისთვის, სტუდენტმა უნდა იცოდეს თუ როდის და როგორ შეაფასებენ მის მიღწევებს;
- ბ) გამჭვირვალობის პრინციპი - ინფორმაცია შეფასების სისტემის, კრიტერიუმების, მეთოდების და პერიოდულობის შესახებ უნდა იყოს სრული, ამომწურავი და ადვილად აღქმადი;
- გ) თანასწორობის პრინციპი - უნდა გამოირიცხოს ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაცია და ყველა სტუდენტი უნდა იმყოფებოდეს თანაბარ პირობებში. თითოეულ სტუდენტს უნდა შეეძლოს თანაბარი პირობები და მიეცეს თანაბარი შესაძლებლობა კომპეტენციების გამოსავლენად;
- დ) სისტემატურობის პრინციპი – სტუდენტის მიღწევების დონის შეფასება უნდა მოხდეს არა ერთჯერადად, არამედ მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში, რადგან სტუდენტის მიღწევები უნდა ექვემდებარებოდეს მუდმივ დაკვირვებას და იყოს შეფასებადი, ანუ შესაძლებელი იყოს იმის გარკვევა - რა იცის, რას აცნობიერებს, რისი გაკეთება და ა.შ. შეუძლია სტუდენტს და როგორ ვითარდება მისი კომპეტენციები;
- ე) სამართლიანობის პრინციპი – ყველა სტუდენტის მიღწევების შეფასება უნდა მოხდეს ერთიანი სისტემით, შეიძლება გამოყენებული იყოს შეფასების მხოლოდ წინასწარ დადგენილი და საჯარო კრიტერიუმები.

10.2 შეფასების მიზანი

- 1) შეფასების მიზანია რაოდენობრივი მაჩვენებლებით (ქულებით) განსაზღვროს სტუდენტის მიღწევების დონე და მათი შესაბამისობა პროგრამის კომპონენტის დაგეგმილ შედეგებთან (მითითებულია სილაბუსში);
- 2) სტუდენტის მიღწევების შეფასებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა, მეთოდები და კრიტერიუმები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ შეფასების სისტემას, წინამდებარე დებულებით აღწერილ შეფასების პრინციპებსა და მიზნებს, პროგრამის კომპონენტის სპეციფიკას და უზრუნველყოფდეს სტუდენტის მიღწევების ობიექტურ და სრულფასოვან შეფასებას გამჭვირვალე წესების და კრიტერიუმების გამოყენებით;
- 3) შედეგების გაუმჯობესების მიზნით უნდა იყოს უზრუნველყოფილი სტუდენტის ინფორმირება მიღწეული შეფასებების და ნაკლოვანებების შესახებ და მათი განხილვის შესაძლებლობა.

10.2 სტუდენტის შეფასება

- 1) სასწავლებელში მოქმედებს სტუდენტთა მიღწევების შეფასების 100-ქულიანი (100%) სისტემა, რომელიც შეესაბამება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ შეფასების სისტემას და უშვებს:
 - ა) 5 დადებით შეფასებას:
 - A (შეფასების 91-100 ქულა) - ფრიადი,
 - B (შეფასების 81-90 ქულა) - ძალიან კარგი,
 - C (შეფასების 71-80 ქულა) - კარგი,
 - D (შეფასების 61-70 ქულა) - დამაკმაყოფილებელი,
 - E (შეფასების 51-60 ქულა) - საკმარისი.პროგრამის კომპონენტის დადებითი მაქსიმალური შეფასება - 100 ქულა, ხოლო მინიმალური დადებითი შეფასება - 51 ქულა;
- ბ) 2 უარყოფით შეფასება: Fx (შეფასების 41-50) - ვერ ჩააბარა (სტუდენტს მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება, დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 დღისა);




შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

უმაღლესი (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება

Regulation for Managing the High (Bachelor) Educational Process

- გ) F (შეფასების 40 და ნაკლები) - ჩაიჭრა (სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/ პროგრამის კომპონენტი თავიდან აქვს შესასწავლი).
- 2) სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს შუალედურ შეფასებებს და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სასწავლებელი ადგენს სტუდენტის დასკვნით გამოცდაზე გასვლის ვალდებულებას, რათა იყოს უზრუნველყოფილი სასწავლო კურსით/პროგრამის კომპონენტით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის სრულფასოვანი შემოწმება. თითოეული სასწავლო კომპონენტისათვის დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: დასკვნითი გამოცდისათვის 40 ქულიდან 16 ქულა, ხოლო შუალედური შეფასებების ჯამური 60 ქულიდან 21 ქულა. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი ვერ დააგროვებს შუალედურ შეფასებებში მინიმალურ 21 ქულას, მას უნუღებება მიმდინარე შეფასება და ის არ დაიშვება დასკვნით გამოცდაზე.
- 3) დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. შეფასების 100-ქულიან სისტემაში დასკვნითი გამოცდის წილი არ უნდა აღემატებოდეს 40 ქულას;
- 4) სასწავლებელში სასწავლო კურსის/პროგრამის კომპონენტის: შემაჯამებელი შეფასება – 100 ქულა მათ შორის :
შუალედური შეფასებები –60 ქულა
დასკვნითი გამოცდა –40 ქულა
- 5) თუ სტუდენტის მიღწევების შეფასებას ერთდროულად ახდენს რამდენიმე პირი, მაშინ შეფასების ქულა უდრის ამ პირთა მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულ სიდიდეს;
- 6) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შეფასება წარმოადგენს სასწავლო კურსის/პროგრამის კომპონენტის შემაჯამებელ შეფასებას და მისი მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე;
- 7) დასკვნითი/დამატებითი გამოცდა დამღეულად ითვლება, თუ სტუდენტმა დასკვნითი/დამატებითი გამოცდის შესაძლო მაქსიმალური 40 ქულიდან მიიღო არანაკლებ 16 ქულა.
- 8) დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება აქვს სტუდენტს: 1) დასკვნითი გამოცდის– 16 ქულის ან მეტის მიღების შემთხვევაში, თუ მიღებული შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამებით სტუდენტს უგროვდება არანაკლებ Fx შეფასების შესაბამისი შემაჯამებელი 41-50 ქულა. შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამებით სასწავლო კურსში/პროგრამის კომპონენტში 50-41 ქულის (შეფასება Fx) მიღების შემთხვევაში, 2) დასკვნითი გამოცდის– 16 ქულაზე ნაკლები ქულის მიღების შემთხვევაში, თუ მიღებული შუალედური შეფასებების დაჯამებით სასწავლო კურსში/პროგრამის კომპონენტში დაგროვილი აქვს 41-50 ქულა (შეფასება Fx); და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამებით სტუდენტს უგროვდება არანაკლებ Fx შეფასების შესაბამისი შემაჯამებელი 50-41 ქულა);
- 9) სასწავლო კურსში/პროგრამის კომპონენტში ფიქსირდება F შეფასება შემდეგ შემთხვევებში: 1) დასკვნით გამოცდაზე არ დაშვება, 2) შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამებით სასწავლო კურსში/პროგრამის კომპონენტში 41-ზე ნაკლები ქულის მიღება, 3) შუალედური შეფასებებისა და დამატებითი გამოცდის შეფასების დაჯამებით მინიმალურ დადებით შეფასებაზე (51 ქულაზე) ნაკლები ქულის მიღება, 4) დამატებით დასკვნითი გამოცდის 16 ქულაზე ნაკლები ქულის მიღება;
- 10) შუალედურ/დასკვნით/დამატებით გამოცდაზე სტუდენტის გამოუცხადებლობის შემთხვევაში მოქმედებს შემდეგი წესები:




**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**უმაღლესი (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება**

Regulation for Managing the High (Bachelor) Educational Process

- ა) შუალედური გამოცდა - მხოლოდ დოკუმენტურად დადასტურებული საპატიო მიზეზის შემთხვევაში სტუდენტს შეეძლება შუალედურ გამოცდაზე გასვლა ამისთვის დადგენილ ვადაში (არაუგვიანეს სემესტრის მე-10 კვირისა). განსხვავებულ ვადაში გამოცდის დანიშვნაზე უარის თქმის ან დადგენილ ვადაში გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში შუალედურ გამოცდაში ფიქსირდება 0 ქულა გამოუცხადებლობის მიზეზის მიუხედავად;
- ბ) დასკვნითი გამოცდის შედეგის განულების შემთხვევაში (16 ქულაზე ნაკლები) სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის 0 ქულის დაჯამებით უგროვდება არანაკლებ Fx შეფასების შესაბამისი 41-50 ქულა, შეუძლია დამატებით გამოცდაზე ერთჯერადად გასვლა. სასწავლო კურსში/პროგრამის კომპონენტში ფიქსირდება შეფასება F, თუ შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის 0 ქულის დაჯამებით სტუდენტს უგროვდება 41-ზე ნაკლები ქულა;
- გ) დამატებითი გამოცდა - ფიქსირდება 0 ქულა და სასწავლო კურსში/პროგრამის კომპონენტში შეფასება F;
- 11) დამატებითი გამოცდები ტარდება წინასწარ დადგენილ ვადებში. სტუდენტთა ხელშეწყობის, მხარდაჭერის და დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლების დაცვის მიზნით დასაშვებია დადგენილისგან განსხვავებულ ვადებში დამატებითი გამოცდის დანიშვნა მხოლოდ დოკუმენტურად დადასტურებული საპატიო მიზეზის გამო დამატებით გამოცდაზე სტუდენტის გამოცხადების შეუძლებლობის შემთხვევაში, რის შესახებ წინასწარ (დამატებითი გამოცდის დაწყებამდე) უნდა ეცნობოს სასწავლებლის ადმინისტრაციას. ყველა მსგავსი შემთხვევა განიხილება დეკანის მიერ მიმართულების ხელმძღვანელების ჩართულობით ინდივიდუალურად, გადაწყვეტილება მიიღება სტუდენტის განცხადების და თანდართული დამადასტურებელი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე. დადგენილისგან განსხვავებულ ვადაში დამატებითი გამოცდის დანიშვნაზე უარის თქმის შემთხვევაში ფიქსირდება 0 ქულა და შეფასება F;
- 12) შუალედურ/დასკვნით/დამატებით გამოცდაზე დაგვიანების ან შუალედური/დასკვნითი/დამატებითი გამოცდის მიტოვების შემთხვევებში სტუდენტი კარგავს გამოცდაზე შესვლის ან გამოცდის დასრულების უფლებას და მოქმედებს შემდეგი წესი:
- ა) შუალედური გამოცდა - 1) ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო გამოცდის მიტოვების შემთხვევაში სტუდენტი შეძლებს შუალედურ გამოცდაზე გასვლას ამისთვის განსაზღვრულ ვადაში (არაუგვიანეს სემესტრის მე-10 კვირისა); 2) შუალედურ გამოცდაზე დაგვიანების/არასაპატიო მიზეზით გამოცდის მიტოვების შემთხვევაში ფიქსირდება 0 ქულა;
- ბ) დასკვნითი გამოცდა - ფიქსირდება 0 ქულა და სტუდენტს აქვს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება, თუ შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის 0 ქულის დაჯამებით მას უგროვდება არანაკლებ Fx შეფასების შესაბამისი 50-41 ქულა. სასწავლო კურსში/პროგრამის კომპონენტში ფიქსირდება შეფასება F, თუ შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის 0 ქულის დაჯამებით მიიღება 41-ზე ნაკლები ქულა;
- გ) დამატებითი გამოცდა- ფიქსირდება 0 ქულა და შეფასება F;
- 13) ზემოთ მითითებულ საპატიო მიზეზებში მოიაზრება მხოლოდ დოკუმენტურად დადასტურებული ავადმყოფობა, უბედური შემთხვევა და ა.შ. სტუდენტის მიერ წარმოდგენილ საპატიო მიზეზის დამადასტურებელ დოკუმენტში/ცნობაში უნდა იყოს მითითებული ცნობის/დოკუმენტის გამცემი დაწესებულების დასახელება, ფაქტობრივი



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

უმაღლესი (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება


Regulation for Managing the High (Bachelor) Educational Process

მისამართი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, დოკუმენტის/ცნობის სარეგისტრაციო ნომერი, ცნობის/დოკუმენტის გაცემის თარიღი და საფუძველი, დოკუმენტი/ცნობა უნდა დასტურდებოდეს უფლებამოსილი პირის (ვინაობის და თანამდებობის მითითებით) ხელმოწერით და დაწესებულების ბეჭდით. მითითებული ინფორმაციის არარსებობის შემთხვევაში წარმოდგენილი ცნობა/დოკუმენტი მხედველობაში არ მიიღება. სასწავლებელი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი დოკუმენტის/ცნობის ნამდვილობა; შესაბამისად სტუდენტის მიერ ცნობის წარმოდგენა გულისხმობს მის თანხმობას ინფორმაციის გადამოწმებაზე.

- 14) შუალედურ/დასკვნით/დამატებით გამოცდაზე სტუდენტის მიერ წესრიგის ან სასწავლებლის დებულებით გათვალისწინებული ქვევის წესების დარღვევის შემთხვევაში:
 - ა) სტუდენტს არ ექნება გამოცდის დასრულების უფლება;
 - ბ) დაიწყება დისციპლინური წარმოება და სტუდენტის მიმართ იქნება გამოყენებული სასწავლებელში მოქმედი ეთიკის კოდექსით ან სხვა რეგულაციით გათვალისწინებული სანქცია;
 - გ) თუ დისციპლინური სანქცია ითვალისწინებს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას, მაშინ სტუდენტს არ აქვს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება და სასწავლო კურსში/პროგრამის კომპონენტში ფიქსირდება შეფასება F;
- 15) საგამოცდო ფურცლის განზრახ დაზიანების, მათ შორის საგამოცდო ფურცელზე რაიმე სახის მინაწერების ან/და გრაფიკული გამოსახულების (ფიგურა, ნახატი და ა.შ.), რომელიც დაკავშირებული არ არის საგამოცდო დავალებასთან, დატანის შემთხვევაში არ მოხდება საგამოცდო ნაშრომის შეფასება და მოქმედებს შემდეგი წესი:
 - ა) შუალედური გამოცდის შემთხვევაში - ფიქსირდება 0 ქულა;
 - ბ) დასკვნითი გამოცდის შემთხვევაში - ფიქსირდება 0 ქულა; სტუდენტს აქვს დამატებით დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება, თუ შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის 0 ქულის დაჯამებით მას უგროვდება არანაკლებ Fx შეფასების შესაბამისი შემაჯამებელი 50-41 ქულა. სასწავლო კურსში ფიქსირდება შეფასება F, თუ შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის 0 ქულის დაჯამებით მიიღება 41-ზე ნაკლები ქულა;
 - გ) დამატებითი გამოცდის შემთხვევაში - განმეორებითი დამატებითი გამოცდა არ დაინიშნება, ფიქსირდება 0 ქულა და შეფასება F.
- 16) შეფასება F მიღების შემთხვევაში სტუდენტს სასწავლო კურსი - ახლიდან აქვს შესასწავლი, პრაქტიკა - ახლიდან აქვს გასავლელი ან/და სხვა. - ახლიდან შესასრულებელი;
- 17) კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასების (შეფასების ≥ 51 ქულის) შესაბამისი ქულის მიღების შემთხვევაში სასწავლო კურსის/პროგრამის კომპონენტის დაგეგმილი (სილაბუსში მითითებული) სწავლის შედეგები ითვლება მიღწეულად და სასწავლო კურსის/პროგრამის კომპონენტის კრედიტი მიღებულიად.

10.3 შუალედურ, დასკვნით, დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გასაჩივრება

- 1) თუ სტუდენტი არ ეთანხმება გამოცდაზე მიღებულ შეფასებას, მას შეუძლია წერილობითი პროტესტით მიმართოს დეკანს შესაბამის სასწავლო კურსში გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში. პროტესტი შეიძლება წარდგენილ იქნას როგორც სტუდენტთა, მსმნელთა და თანამშრომელთა მომსახურების განყოფილებაში წერილობით, ასევე, შეიძლება გაგზავნილ იქნას სასწავლებლის ელექტრონული ფოსტის მისამართზე info@mtc-anri.edu.ge (პროტესტის ფორმის სტანდარტის აუცილებელი დაცვის პირობით).



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**


**უმაღლესი (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება**

Regulation for Managing the High (Bachelor) Educational Process

- 2) ნაშრომის (ოქმის - ზეპირი გამოცდის შემთხვევაში) გასაცნობად სტუდენტმა იგივე წესით უნდა მიმართოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის განმავლობაში. სტუდენტს შეუძლია გაეცნოს ნაშრომს (ოქმს) განცხადების წარდგენის შემდეგი სამუშაო დღის 12:00 საათის შემდეგ სამუშაო დღის დასრულებამდე;
- 3) სტუდენტს შეუფერხებლად მიეცემა ნაშრომის (ოქმის) დედანში გაცნობის უფლება;
- 4) პროტესტში უნდა მიეთითოს კონკრეტულად, თუ შედეგის რა ნაწილს აპროტესტებს სტუდენტი. პროტესტი უნდა იყოს დასაბუთებული. ზოგადი პროტესტი არ განიხილება. გადაწყვეტილება პროტესტის განუხილველად დატოვებაზე საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება;
- 5) პროტესტი, ისევე, როგორც საკუთრივ ნაშრომი (წერილობითი გამოცდის შემთხვევაში), სასწავლო კურსის განმახორციელებელს გადაეცემა დაშიფრული სახით.
- 6) საჩივრის წარდგენიდან არა უგვიანეს ერთი კვირისა, საჩივრის განხილვა ხდება ფაკულტეტის დეკანის მიერ შესაბამისი სასწავლო კურსის განმახორციელებელთან ერთად. სასწავლო კურსის განმახორციელებლის მოწვევა არ არის საჭირო, თუ შეცდომა მდგომარეობს საგამოცდოს ცალკეული კომპონენტების შეფასებათა დაჯამებაში. თუ ჩაითვლება, რომ სტუდენტის პრეტენზია ცალსახად საფუძვლიანია, მოხდება შეფასების გასწორება. შესაბამისი ჩანაწერი კეთდება ნაშრომზე დეკანის ხელმოწერით. საჭიროების შემთხვევაში მოწვეულ იქნას სხვა შემფასებელი ან კომისია.
- 7) თუ სტუდენტი ასაჩივრებს ზეპირი გამოცდის შედეგებს, მაშინ ფაკულტეტის დეკანი საჩივარს განიხილავს შესაბამისი სასწავლო კურსის განმახორციელებელთან და კომისიის წევრებთან ერთად.

10.4 გამოცდები. სტუდენტის ეთიკის კოდექსი

- 1) გამოცდები მიმდინარეობს შესაბამის საგამოცდო კვირას ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით;
- 2) გამოცდაზე გასვლის უფლება აქვთ მხოლოდ გამოცდაზე დაშვებულ სტუდენტებს, რომლებმაც, გამოცდაზე გამოცხადებისას, უნდა იქონიონ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- 3) შუალედური, დასკვნითი, დამატებითი გამოცდები:
 - ❖ გამოცდა უნდა ჩატარდეს მხოლოდ წინამდებარე დებულებით განსაზღვრული წესების და მოთხოვნების შესაბამისად სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული შეფასების მეთოდების და კრიტერიუმების გამოყენებით. საგამოცდო პერიოდის დაწყებამდე დგება შუალედური და დასკვნითი გამოცდების ცხრილი თარიღების და დროის მითითებით (დამატებითი გამოცდების თარიღების განსაზღვრა ხდება შემდეგი პირობის გათვალისწინებით: შუალედი დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდებს შორის უნდა იყოს არანაკლებ 5 დღისა). შუალედური გამოცდა მოიცავს გამოცდის მომენტისთვის შესწავლილ მასალას, დასკვნითი და დამატებითი გამოცდა - მთელ შესწავლილ მასალას. სასწავლო კურსის განმახორციელებელი განსაზღვრავს თუ როგორ ჩატარდება გამოცდა - იქნება აკრძალული ნებისმიერი სახის სასწავლო მასალების გამოყენება თუ იქნება ნებადართული კონკრეტული ლიტერატურის/დამხმარე მასალის გამოყენების შესაძლებლობა. სასწავლო კურსის განმახორციელებელი შესაბამისი საგამოცდო პერიოდის დაწყებამდე შესაბამის მიმართულებას და შემდგომში დეკანს წარუდგენს საგამოცდო საკითხებს/ტესტებს ჯგუფების/ჯგუფებში სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით (მაგალითად, რამდენიმე ვარიანტის ელ. ვერსიებს) და იმ ცნობარების/სხვა. ჩამონათვალს, რომელთა გამოყენება იქნება ნებადართული. საგამოცდო საკითხების/ტესტების შინაარსობრივი სისწორე და ტექნიკური გამართულობა არის სასწავლო კურსის




**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**უმაღლესი (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება**

Regulation for Managing the High (Bachelor) Educational Process

განმახორციელებლის პასუხისმგებლობის სფერო. საგამოცდო საკითხები მოწმდება შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მიერ და გადაეცემა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს გასამრავლებლად.(წერილობითი გამოცდის შემთხვევაში) გამოცდაზე დასაშვებია მხოლოდ წინასწარ წარდგენილი საგამოცდო საკითხების/ტესტების გამოყენება. გამოცდები შეიძლება ჩატარდეს შემდეგი ფორმატით (სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით): წერიტი საკითხები; წერიტი და ზეპირი საკითხები; წერიტი და ზეპირი საკითხები + ტესტები; წერიტი და ზეპირი საკითხები + დავალებები; წერიტი და ზეპირი საკითხები + დავალებები + ტესტები; წერიტი საკითხები + დავალებები; წერიტი საკითხები + ტესტები; წერიტი საკითხები + დავალებები + ტესტები; ზეპირი საკითხები + დავალებები + ტესტები; დავალებები + ტესტები. გამოცდის დასრულების შემდეგ ხდება სტუდენტების ნაშრომების შეფასება (წერილობითი გამოცდის შემთხვევაში), რაც აისახება შესაბამის ელექტრონულ ბაზაში და საგამოცდო უწყისში. მიღებული შეფასებები უნდა იყოს ხელმისაწვდომი სტუდენტებისთვის. სტუდენტს უფლება აქვს წინამდებარე დებულებით დადგენილი წესით და ვადაში გაასაჩივროს გამოცდის შედეგი;

- ❖ გამოცდაზე დასაშვებია მხოლოდ ნებადართული პირადი მოხმარების და ჰიგიენის (წყალი, წამლები, ხელსახოცები, საწერი კალამი და სხვ.) ნივთებისა და ლექტორის მიერ წინასწარ განსაზღვრული ნებადართული (სტუდენტისთვის წინასწარ ცნობილი) ცნობარების, რუკების და სხვა შემოტანა, რომლებიც უნდა განთავსდეს საგამოცდო მაგიდის ზედაპირზე;
 - ❖ აკრძალულია: გამოცდაზე დაგვიანება; გამოცდაზე აკრძალული ნივთების (სასწავლო მასალის/სახელმძღვანელოს, მობილური ტელეფონის, ნოუტბუქის, ყურსასმენების და სხვადასხვა ხელსაწყოების, ნებისმიერი სახის ჩანაწერების) შეტანა ან გამოყენების მცდელობა; ქურთუკით, ქუდით ან თავსაბურავით შემოსვლა; დაწყებული გამოცდის უნებართოდ მიტოვება (შესაძლებელია მხოლოდ თანმხლებ პირთან ერთად); საგამოცდო ფურცლის განზრახ დაზიანება (მათ შორის, რაიმე სახის მინაწერის/ წარწერის ან გრაფიკული გამოსახულების დატანა, რომელიც დაკავშირებული არ არის საგამოცდო დავალების შესრულებასთან); დამკვირვებლის გაფრთხილების მიუხედავად წესრიგის დარღვევად მიჩნეული ქმედების (გადალაპარაკება, აუდიტორიაში სიარული, რაიმე ფორმით დახმარების გაწევა ან/და მიღება, სხვა პირებისთვის ხელის შეშლა ან სხვა) განმეორებით ჩადენა; გამოცდის ჩაშლის მცდელობა, გამოცდაზე წესრიგის დარღვევა ან სასწავლებელში მოქმედი ქცევის წესების დარღვევად მიჩნეული ქმედების ჩადენა. გამოცდაზე აკრძალული ნივთების შემოტანის/გამოყენების მცდელობის შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია ნებაყოფილობით/ დამკვირვებლის მოთხოვნით დატოვოს ეს ნივთები მითითებულ განცალკევებულ ადგილას, დაუმორჩილებლობის შემთხვევაში სტუდენტის ქცევა მიიჩნევა გამოცდაზე წესრიგის დარღვევად;
- 4) საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით შეიძლება დაწესდეს ამ დებულების 8.5.3 პუნქტისაგან განსხვავებული წესი;
- 5) ზეპირი გამოცდა უნდა ჩატარდეს მხოლოდ წინამდებარე დებულებით განსაზღვრული წესების და მოთხოვნების შესაბამისად სილაბუსში მითითებული შეფასების მეთოდების და კრიტერიუმების გამოყენებით. ზეპირი გამოცდის შემთხვევაში იქმნება კომისია ერთი ან რამდენიმე საგნისათვის. კომისიის წევრები შეიძლება იყვნენ პროგრამის განმახორციელებელი, ფაკულტეტის შესაბამისი დარგის სპეციალისტები – პროფესორების შემადგენლობიდან და დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის ან პროფესიული გამოცდილების მქონე მოწვეული სპეციალისტები. კომისიის წევრად შეიძლება იყოს მოწვეული შესაბამისი კომპეტენციების მქონე დარგის სპეციალისტ(ებ)ი. კომისიის



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**უმაღლესი (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება**

Regulation for Managing the High (Bachelor) Educational Process

წევრთა რაოდენობას (არანაკლებ 3 წევრი) და შემადგენლობას (წევრთა ვინაობას) განსაზღვრავს სასწავლებლის რექტორი დეკანის წარდგინებით. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სრული შემადგენლობის 2/3. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება კომისიის სხდომის ოქმით. კომისიის სხდომის ოქმს ხელს აწერენ კომისიის წევრები. კომბინირებულ გამოცდაზე მიღებული შეფასებები უნდა იყოს ხელმისაწვდომი სტუდენტებისთვის.


- 6) გამოცდაზე დაგვიანების, დაწყებული გამოცდის (თუნდაც დროებით ან საპატიო მიზეზით (ჯანმრთელობის მდგომარეობა ან სხვ.) მიტოვების, გამოცდაზე წესრიგის დარღვევის (წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევები) ან სასწავლებელში ქცევის წესების დარღვევად მიჩნეული ქმედების ჩადენის შემთხვევებში სტუდენტი კარგავს გამოცდაზე შესვლის/დასრულების უფლებას, მას უფიქსირდება შეფასება 0 ქულა და დგება შესაბამისი ახსნა-განმარტებითი ბარათი (გამოცდაზე დაგვიანების შემთხვევაში – სტუდენტის გვარის, გამოცდის დაწყებისა და გამოცდაზე სტუდენტის გამოცხადების დროის მითითებით, გამოცდის უნებართოდ მიტოვების შემთხვევაში – სტუდენტის გვარის, გამოცდის დაწყებისა და გამოცდის მიტოვების დროის მითითებით, გამოცდაზე წესრიგის დარღვევის ან სასწავლებელში ქცევის წესების დარღვევად მიჩნეული ქმედების ჩადენის შემთხვევებში – სტუდენტის გვარის და სახელის და მის მიერ ჩადენილი ქმედების მითითებით). საგამოცდო ფურცლის განზრახ დაზიანების შემთხვევაში არ ხდება ნაშრომის შეფასება, ფიქსირდება შეფასება 0 ქულა და დგება ახსნა-განმარტებითი ბარათი სტუდენტის გვარის და სახელის და ნაშრომის შეფასებაზე უარის თქმის საფუძველის მითითებით.

11. საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის დასრულება. აკადემიური ხარისხი

- 1) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა დასრულებულად ითვლება, თუ სტუდენტმა მიაღწია პროგრამით დაეგმილ სწავლის შედეგებს, შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები და მიიღო საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის დადგენილი კრედიტების რაოდენობა. ინფორმაცია პროგრამის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტურ რეესტრში;
- 2) პირს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხური, ეძლევა სათანადო მოწმობა საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსების/მოდულების მოსმენის შესახებ.

12. დიპლომი

- 1) საგანმანათლებლო პროგრამა დასრულებულად ითვლება, თუ სტუდენტმა შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა, მიიღო პროგრამისთვის სავალდებულო კრედიტების რაოდენობა და მიაღწია საგანმანათლებლო პროგრამით დაეგმილ შედეგებს. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად (240 ECTS კრედიტი) კურსდამთავრებულს მიენიჭება შემდეგი კვალიფიკაცია: 1) საზღვაოსნო მეცნიერების ბაკალავრი ან 2) ინჟინერიის ბაკალავრი საზღვაო ინჟინერიაში. სასწავლებელი გასცემს შესაბამის დიპლომსა და დიპლომის დანართს UNESCO/CEPES-ის მიერ შემუშავებული მოდელის მიხედვით;
- 2) კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გაიცემა აღნიშნულის დამადასტურებელი დიპლომი. საგანმანათლებლო პროგრამის შესწავლისას ყველა კომპონენტში მხოლოდ "A" და "B" შეფასებების შემთხვევაში (პროგრამის კომპონენტების არანაკლებ 75%-ში "A" (ფრიადი), დანარჩენებში კი "B" (ძალიან კარგი)) გაიცემა წარჩინების დიპლომი, ყველა სხვა შემთხვევაში კი




**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**უმაღლესი (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება**

Regulation for Managing the High (Bachelor) Educational Process

ჩვეულებრივი. დიპლომის განუყოფელი ნაწილია დიპლომის დანართი, რომელშიც აისახება საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტი შესაბამისი სახელწოდებების, კრედიტების რაოდენობების და მიღებული შეფასებების მითითებით;

- 3) საგანმანათლებლო პროგრამაში VIII სემესტრში 5 ECTS კრედიტი დათმობილი აქვს დისციპლინას: „კონვენციური საკვალიფიკაციო მოთხოვნები“, რომელიც გულისხმობს იმას, რომ კურსდამთავრებულმა უნდა შეაჯამოს და სისტემატიზაციაში მოიყვანოს წინა წლების განმავლობაში სპეციალურ დისციპლინებში განვლილი მასალა, რათა მიიღოს განათლების დამადასტურებელი თეორიული დიპლომი და უკვე მომზადებულმა მიმართოს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს კარიერაში შემდგომი ზრდისთვის „მეზღვაურთა მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის შესახებ“ (STCW) საერთაშორისო საზღვაო კონვენციის თანახმად;
- 4) თუ სტუდენტმა ვერ შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოთხოვნა, მას არ აქვს მიღებული საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი კრედიტების სავალდებულო რაოდენობა, მაშინ სენატი/საკვალიფიკაციო კომისია იღებს გადაწყვეტილებას კვალიფიკაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ;
- 5) თუ სტუდენტს საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოთხოვნის შესრულებით, მიღებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი კრედიტების სავალდებულო რაოდენობა, მაშინ საგანმანათლებლო პროგრამა ითვლება დასრულებულად და საკვალიფიკაციო კომისია(რომელიც იქმნება სასწავლებლის რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე და რომლის შემადგენლობაშიც (არანაკლებ 2/3 -ისა) არის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი) იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მინიჭებისა და ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული პირობების შესაბამისად „წარჩინებით“/“ჩვეულებრივი“ დიპლომის გაცემის შესახებ;
- 6) შპს ბუსსს ანრის სენატის სხდომის ოქმში აისახება მიღებული გადაწყვეტილება: კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ (საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების, პროგრამის კურსდამთავრებულთა სახელების და გვარების და მათთვის მინიჭებული კვალიფიკაციისა და დიპლომის ხარისხის (“წარჩინებით“/“ჩვეულებრივი“) მითითებით);
- 7) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მინიჭების შემთხვევაში პროგრამის კურსდამთავრებულს შეუწყდება სტუდენტის სტატუსი საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის დასრულების შედეგად;
- 8) საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილება აისახება რეესტრში;
- 9) სტუდენტებზე გასაცემი დიპლომის ბლანკები დადგენილი წესით აღირიცხება სპეციალურ ჟურნალში;
- 10) შპს ბუსსს ანრის სენატის დადგენილებით თითოეულ სტუდენტზე სტამბური წესით დაბეჭდილ დიპლომს, ეძლევა სარეგისტრაციო ნომერი, მოწმდება შპს ბუსსს ანრის რექტორის და საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის დეკანის ხელწერებით და სასწავლებლის ბეჭდით;
- 11) გაცემული დიპლომების შესახებ მონაცემები ხელმისაწვდომია (სასწავლებლის ვებ-გვერდზე) სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსთვის, ხოლო დოკუმენტაცია დადგენილი წესით ინახება სასწავლებელში შემდგომი დამუშავებისა და არქივში გადაცემისათვის;
- 12) გასაცემი დიპლომის ფორმა შეესაბამება საქართველოს კანონდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და შეთანხმებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

უმაღლესი (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება


Regulation for Managing the High (Bachelor) Educational Process

თავი II

სტუდენტის სტატუსი და ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

1. სტუდენტის სტატუსის მოპოვება

- 1) სასწავლებელში სწავლება ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად, აკადემიური უმაღლესი განათლების მხოლოდ პირველ საფეხურზე - (ბაკალავრიატი);
- 2) სასწავლებელში სტუდენტის სტატუსის მოპოვება უმაღლესი განათლების პირველ (საბაკალავრო) საფეხურზე საგანმანათლებლო პროგრამებზე ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების, მობილობის და ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად.
- 3) ბაკალავრიის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს აბიტურიენტს, რომელიც ფლობს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ ან მასთან გათანაბრებულ დოკუმენტს და რომელიც ერთიანი ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს ბუსსს ანრის შესაბამის პროგრამაზე.
- 4) სტუდენტის სტატუსის მოპოვება საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანების საფუძველზე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია:
 - ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება;
 - ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;
 - გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
 - დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ არანაკლებ 75 დღისა ერთ-ერთი სემესტრის განმავლობაში და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტმა განცხადებას რექტორის სახელზე თან უნდა დაურთოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის ბრძანება N224 -ით „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**უმაღლესი (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება**

Regulation for Managing the High (Bachelor) Educational Process


დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ განსაზღვრული დოკუმენტაცია.

2. ადმინისტრაციული რეგისტრაცია

- 1) სასწავლებელში ჩარიცხვის მიზნით, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, აბიტურიენტთა რეგისტრაცია მიმდინარეობს სასწავლებელში, რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში.
- 2) სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად, აბიტურიენტმა, რეგისტრაციისთვის დადგენილ ვადებში სასწავლებელში უნდა წარადგინოს დოკუმენტაცია, რომელიც განისაზღვრება რექტორის ბრძანებით.
- 3) სტატუსის მინიჭების შემდეგ, ერთი კვირის ვადაში, სასწავლებელი სტუდენტთან აფორმებს ხელშეკრულებას საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ვადის ხანგრძლივობით;
- 4) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს ნაკისრი ვალდებულების შესაბამისი, სწავლის საფასურის დამადასტურებელი ქვითარი;
- 5) მონაცემები ჩარიცხული სტუდენტის შესახებ, რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებათა სტუდენტთა რეესტრში;
- 6) იმ აბიტურიენტებს, რომლებიც მოხვდნენ რანჟრების დოკუმენტში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით, მაგრამ ვერ მოხვდნენ რექტორის აქტში, დაწესებულებისთვის მიუმართაობის გამო, აქვთ უფლება მიმართონ რექტორს ჩარიცხვის შესახებ თხოვნით. აუცილებელი დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ, რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს პირის ჩარიცხვის შესახებ და წარუდგენს სამინისტროს. ამგვარი გზით ჩარიცხვა გამოირიცხავს სტუდენტის მიერ სახელმწიფო სასწავლო გრანტით სარგებლობის უფლებას.

3. სტუდენტის პირადი საქმე

- 1) სტუდენტის პირადი საქმე შეიცავს რეგისტრაციის დროს სტუდენტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას:
 - განცხადება რექტორის სახელზე;
 - პირადობის მოწმობის ქსეროასლი;
 - ატესტატი (დედანი) ან ატესტატის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
 - 4 ფოტოსურათი 3X4 ფორმატის და ელექტრონული ვერსია;
 - წვევამდელის სამხედრო-სააღრიცხვო მოწმობა (დედანი) ან სამხედრო ბილეთის ასლი;
 - ჯანმრთელობის ცნობა - ჩასარიცხად საჭიროა სამედიცინო ცნობა საზღვაო ფლოტის გემების მცურავ შემადგენლობაში ვარგისიანობის დასადგენად (ფორმა №086 ან №100). სამედიცინო შემოწმება უნდა ჩატარდეს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ აღიარებულ სამედიცინო ცენტრში.
 - ცნობა ნარკოლოგიური დისპანსერიდან.
 - ცნობა ფსიქოლოგიური დისპანსერიდან.
- 2) ზემოთჩამოთვლილ დოკუმენტაციას ფაკულტეტზე სასწავლო წლების განმავლობაში ემატება მიმდინარე, პერიოდული დოკუმენტაცია:
 - სტუდენტის სასწავლო ბარათი;
 - სტუდენტთან მიმართებაში გამოცემული ყველა ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტის დამოწმებული ამონაწერი ან დამოწმებული ასლი;
 - სასწავლებლის მიერ სტუდენტზე გაცემული სერტიფიკატებისა და დიპლომების ასლები;



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

უმაღლესი (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება

Regulation for Managing the High (Bachelor) Educational Process


- სტუდენტის პირად საქმეს და სასწავლო ბარათის შევსებას აწარმოებს ფაკულტეტის დებულებით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი;
- 3) სტუდენტის პირადი საქმე ინახება სტუდენტის მიერ მოცემულ აკადემიურ პროგრამაზე სწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში, რომლის დასრულების შემდეგ საქმის წარმოების წესის შესაბამისად შესაძლებელია გადაეცემა არქივს.

4. სტუდენტის ხელშეკრულება

- 1) სასწავლებელში ჩარიცხვისა და რეგისტრაციის პროცედურის გავლის შემდეგ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სასწავლებელთან დებს ხელშეკრულებას, რომლითაც განისაზღვრება ურთიერთობა ორ მხარეს შორის. ხელშეკრულება სტუდენტსა და სასწავლებელს შორის იდება ერთხელ, და ის ძალაშია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის მთელ პერიოდში (იგულისხმება პროგრამის ხანგრძლივობა - 4 პირობითი სასწავლო წელი უწყვეტად). შესაბამისად, არ ექვემდებარება გადასინჯვას არც სწავლების ის ღირებულება, რომელიც აღნიშნულია ხელშეკრულებაში მისი ხელმოწერის დროს;
- 2) თუ სტუდენტმა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადაში ვერ შეძლო სწავლის წარმატებით დასრულება, რაც ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების ათვისებას და სწავლის დასრულებისათვის საჭიროებს დამატებით დროს, სასწავლებელსა და სტუდენტს შორის ფორმდება ახალი ხელშეკრულება;
- 3) თუ სტუდენტს შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი და შეჩერების ვადა აღემატება 2 სასწავლო წელს, სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში საზღვაო სასწავლებელი უფლებამოსილია გააფორმოს მასთან ახალი ხელშეკრულება;
- 4) სტუდენტის ხელშეკრულება მოიცავს სტუდენტის ვალდებულებებსა და უფლებამოსილებებს, ფინანსურ ურთიერთობებსა და საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების პირობებს;
- 5) სასწავლო ხელშეკრულება ფორმდება ორ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი გადაეცემა სტუდენტს, ხოლო მეორე - ინახება სტუდენტის პირად საქმეში. ორივე მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა;
- 6) სასწავლო ხელშეკრულება შევსებული და ხელმოწერილი უნდა იყოს უშუალოდ სტუდენტის მიერ. გამონაკლის შემთხვევაში (თუ სტუდენტი არასრულწლოვანია) სასწავლო ხელშეკრულებას ხელს აწერს სტუდენტი და მისი მშობელი;
- 7) პირობები დეტალურად გაწერილია სტუდენტის ხელშეკრულებაში (იხ. დანართი 1).

5. სემესტრული რეგისტრაცია. სწავლის საფასური

- 1) სასწავლებელთან დადებული ხელშეკრულება აკისრებს სტუდენტს სწავლის საფასურის გადახდას, რაც სტუდენტის სემესტრული რეგისტრაციის განმსაზღვრელი ფაქტორია;
- 2) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასური შეადგენს 2200 ლარს;
- 3) სურვილის შემთხვევაში, ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, სტუდენტს შეიძლება დაუდგინდეს სწავლის საფასურის დაფარვის მისთვის მოსახერხებელი გრაფიკი;
- 4) სტუდენტს უფლება აქვს სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუმეტეს 2 კვირის ვადაში მოითხოვოს სემესტრული რეგისტრაციის გაუქმება და გადახდილი თანხის დაბრუნება. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ იგი კარგავს გადახდილი თანხის დაბრუნების უფლებას;
- 5) სწავლის საფასური არ უბრუნდება სტუდენტს, რომელიც წყვეტს სწავლას დისციპლინური ნორმების დარღვევის მიზეზით, ანუ ირიცხება ადმინისტრაციის განკარგულებით;



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**


**უმაღლესი (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება**

Regulation for Managing the High (Bachelor) Educational Process

- 6) ხელშეკრულებით გათვალისწინებული სწავლის საფასური არ უნაზღაურდება სტუდენტს, რომელსაც უწყდება სტატუსი აკადემიური დავალიანების შესაბამის ვადებში ვერ დაფარვის მიზეზით;
- 7) სახელმწიფო გრანტით ნაწილობრივი დაფინანსების მქონე სტუდენტმა სახელმწიფო დაფინანსებასა და სწავლის რეალურ საფასურს შორის სხვაობა უნდა დაფარონ ადმინისტრაციული/ სემესტრული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში;
- 8) სასწავლებელში მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტის სწავლის სემესტრული საფასური განისაზღვრება მოცემულ სპეციალობაზე მიმდინარე სასწავლო წელს დადგენილი ტარიფით;
- 9) სტუდენტის მიერ სემესტრული რეგისტრაციის გავლა ნიშნავს მის მზაობას მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, შესაბამის სემესტრულ-შუალედურ შეფასებასა და დასკვნით გამოცდაში. აკადემიური რეგისტრაციის გაუქმების ან არჩეული საგნის შეცვლის მოთხოვნა დასაშვებია სასწავლო პროცესის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში, რის შემდეგ დაუშვებელია მომსახურების მიუღებლობის მოტივით გადახდილი თანხის ან მისი მომდევნო სემესტრში გადატანის მოთხოვნა;
- 10) ადმინისტრაციული რეგისტრაციის დადგენილ ვადებში გავლის გარეშე სტუდენტის სასწავლო პროცესში თვითნებური მონაწილეობა არ წარმოშობს მის უფლებას, მოითხოვოს ადმინისტრაციული რეგისტრაციის დამატებით გავლა და მიღებული მომსახურების (შუალედური შეფასების) აღიარება.

6. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

- 1) სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი შეიძლება გახდეს:
 - ა) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);
 - ბ) სტუდენტსა და სასწავლებელს შორის დადებული ხელშეკრულების პირობების დარღვევა;
 - გ) სტუდენტის ფინანსური დავალიანება/ფინანსური ვალდებულების შეუსრულებლობა;
 - დ) ადმინისტრაციული ან/და აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობა;
 - ე) ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების მიზეზით, სათანადო დასკვნის წარმოდგენის საფუძველზე;
 - ზ) შორეულ ნაოსნობაში წასვლა საცურაო პრაქტიკის გავლის მიზნით;
 - თ) საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
- 2) ნაოსნობაში წასვლის წინ სტუდენტი ვალდებულია:
 - ა) აცნობოს საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის დეკანს მისი ნაოსნობაში გამგზავრების შესახებ შესაბამისი საბუთების წარდგენით და მისი სავარაუდო გამოცხადების თარიღი;
 - ბ) შორეული ნაოსნობიდან დაბრუნების შემდეგ უნდა გამოცხადდეს სასწავლებელში და მიიღოს ინფორმაცია მისი შემდგომი სწავლის გაგრძელების შესახებ;
- 3) სტუდენტის სტატუსის შეჩერება გულისხმობს ხელშეკრულებიდან გამომდინარე სასწავლებელსა და სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლებას სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.
- 4) სტუდენტის სტატუსის შეჩერების დროის განმავლობაში, სასწავლებელი და სტუდენტი თავისუფლდებიან ურთიერთსანაცვლო უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან, გარდა იმ უფლებებისა და მოვალეობებისა, რომლებიც წარმოიშვა სტატუსის შეჩერებამდე.
- 5) პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება სასწავლებლის სტუდენტების საერთო რაოდენობის ფარგლებში;



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**


**უმაღლესი (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება**

Regulation for Managing the High (Bachelor) Educational Process

- 6) სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში არ ხდება მიმდინარე სემესტრის პროგრამის კომპონენტებში მიღებული შუალედური შეფასებების ქულების შენახვა და ისინი არ იქნება გათვალისწინებული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში;
- 7) სტუდენტის სტატუსის შეჩერება ფორმდება სასწავლებლის რექტორის ბრძანებით. ინფორმაცია სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტურ რეესტრში;
- 8) სტატუსშეჩერებულ სტუდენტს შეუძლია ადადგინოს სტუდენტის სტატუსი სასწავლებელში ან ისარგებლოს მობილობის უფლებით. სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის შემდეგ პირს შეუწყდება სტუდენტის სტატუსი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა;
- 9) სასწავლებლის გადაწყვეტილება სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ – სასწავლებლის მიერ სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში აუცილებელია შემდეგი პირობის დაცვა: სტუდენტი, რომლის მიმართ მიმდინარეობს სტუდენტის სტატუსის შეჩერების თაობაზე წარმოება, უნდა იყოს ინფორმირებული აღნიშნულის შესახებ. სტუდენტსა და სასწავლებელს შორის დადებული ხელშეკრულების პირობების დარღვევა იწვევს სტუდენტის სტატუსის შეჩერებას. სტუდენტის მიერ ნებისმიერი ფინანსური დავალიანება/ფინანსური ვალდებულების (ჯარიმები, ზიანის ანაზღაურება და სხვ.) დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა არის სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი. სტუდენტის სტატუსი შეუჩერდება იმ პირს, რომლის მიმართ მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა, თუ ის ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას და იწვევს სასწავლო პროცესიდან სტუდენტის ჩამოშორებას. სტუდენტს, რომელსაც სასწავლებელი შეუჩერა სტუდენტის სტატუსი, სტატუსის შეჩერებამდე გადახდილი სწავლის საფასური არ დაუბრუნდება.

7. სტუდენტის სტატუსის აღდგენა

- 1) სტუდენტის სტატუსის აღდგენა ხდება მხოლოდ სტატუსშეჩერებული სტუდენტის შემთხვევაში. სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია სტატუსის შეჩერებიდან არაუმეტეს 5 წლის განმავლობაში;
- 2) ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სტატუსის აღდგენისთვის აუცილებელია ხელშეკრულების პირობების დარღვევის აღმოფხვრა. ფინანსური დავალიანების/ფინანსური ვალდებულების შეუსრულებლობის გამო სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სტუდენტის სტატუსის აღდგენის წინაპირობაა არსებული ფინანსური დავალიანების დაფარვა/ფინანსური ვალდებულების შესრულება (დასტურდება გადახდის ქვითრის წარდგენით);
- 3) თუ სასწავლებელშივე ხდება სასწავლებლის სტატუსშეჩერებული სტუდენტისთვის სტატუსის აღდგენა, მაშინ დასაშვებია ეს მოხდეს სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლების გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება მომდევნო სასწავლო წლისათვის სასწავლებლის მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას;
- 4) სტუდენტის სტატუსის აღდგენა ხდება სემესტრის დაწყებამდე ან არაუგვიანეს 3 კვირისა სემესტრის დაწყებიდან. გამონაკლის შემთხვევაში სტუდენტმა შეიძლება მიმართოს სასწავლებლის რექტორს და ითხოვოს აღდგენა. რექტორი ფაკულტეტის დეკანის დასკვნის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გამონაკლის შემთხვევაში სტუდენტის აღდგენის შესახებ ისე, რომ შესაძლებელი იყოს სასწავლო პროცესში მისი ჩართულობა;
- 5) სასწავლებლის გადაწყვეტილებით სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში პირისთვის სტუდენტის სტატუსის აღდგენის საკითხს სასწავლებელი არ განიხილავს მიუხედავად იმისა, რომ ბრძანების გამოცემიდან 12 თვის განმავლობაში სტატუსი ითვლება შეჩერებულად; (გარდა კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისის შემთხვევებისა)



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**უმაღლესი (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება**

Regulation for Managing the High (Bachelor) Educational Process

- 6) სტუდენტის სტატუსის აღდგენა ფორმდება სასწავლებლის რექტორის ბრძანებით, ინფორმაცია სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტურ რეესტრში.


8. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

- 1) სასწავლებელში სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:
- ა) სტუდენტის პირადი (თუ სტუდენტი არასრულწლოვანია - მისი კანონიერი წარმომადგენლის) განცხადება სტატუსის შეწყვეტის შესახებ;
 - ბ) სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის გასვლა;
 - გ) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მობილობის წესით გადასვლა;
 - დ) საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის დასრულება;
 - ე) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შეუსრულებლობა აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად დადგენილ ვადებში;
 - ვ) სასწავლებელში ყალბი დოკუმენტის ან არასწორი ინფორმაციის წარდგენა, რომელმაც გავლენა იქონია ჩარიცხვის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღებაზე
 - ზ) პირის ქმედუწუნაროდ აღიარება, პირის გარდაცვალება, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.
- 2) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა იწვევს სტუდენტთან დადებული ხელშეკრულების შეწყვეტას;
- 3) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება რექტორის ბრძანების გამოცემიდან 12 თვის შემდეგ, დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და მას შეუძლია ისარგებლოს მობილობის უფლებით გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია მიმღები უსდ-ს წესდებასთან, სტუდენტმა დაასრულა საგანმანათლებლო პროგრამა და მიენიჭა აკადემიური ხარისხი ან მობილობის წესით გადავიდა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი ხელახლა მოპოვება ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- 4) სტუდენტის გადაწყვეტილება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ – სტუდენტს, რომელსაც სურს სტატუსის შეწყვეტა (თუ სტუდენტი არასრულწლოვანია - მისი კანონიერი წარმომადგენლის), ნებისმიერ დროს შეუძლია მიმართოს სასწავლებლის რექტორს წერილობითი განცხადებით სტატუსის შეწყვეტის შესახებ;
- 5) სასწავლებლის გადაწყვეტილება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ. სასწავლებლის მიერ სტუდენტისთვის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში აუცილებელია შემდეგი პირობის დაცვა: სტუდენტი, რომლის მიმართაც მიმდინარეობს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე წარმოება, უნდა იყოს ინფორმირებული აღნიშნულის შესახებ, მას უნდა მიეცეს საკუთარი მოსაზრებების, ახსნა-განმარტების და მტკიცებულებების წარმოდგენის შესაძლებლობა;
- 6) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ფორმდება სასწავლებლის რექტორის ბრძანებით, ინფორმაცია სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ აისახება კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.

9. აკადემიური შვებულება

სტუდენტს აკადემიური შვებულება ეძლევა:

- ✓ უცხოეთში სწავლის გაგრძელების მიზნით (დოკუმენტურად დადასტურებული), არა უმეტეს სამი წლის ვადით გარდა იმ შემთხვევისა, როცა დოკუმენტურად დადასტურდება სასწავლო პროგრამის მეტი ხანგრძლივობა;
- ✓ სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის გამო (სათანადო დოკუმენტით



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

უმაღლესი (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება


Regulation for Managing the High (Bachelor) Educational Process

დადასტურებული);

- ✓ მძიმე ავადმყოფობის მიზეზით (დოკუმენტურად დადასტურებული);
- ✓ ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის შემთხვევაში, სტატუსის შეჩერებისას, სემესტრის ათვლა გრძელდება და სტუდენტი სწავლას აგრძელებს იმ სემესტრიდან, რომელშიც გაივლის ადმინისტრაციულ რეგისტრაციას.
- ✓ კანონდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10. მიღებული განათლების აღიარება

- 1) უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კვალიფიკაციის ან უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება მისი შესაბამისობა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მინიჭებულ შესაბამის კვალიფიკაციასთან. შესაბამისობა სწავლის შედეგებისა და მინიჭებული კვალიფიკაციის გათვალისწინებით შეიძლება დადგინდეს სწავლის პერიოდის განსხვავების მიუხედავად. უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ კვალიფიკაციას ან უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში მიღებულ განათლებას აღიარებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად;
- 2) სასწავლებელი აღიარებს საქართველოში მოქმედი ყველა ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მინიჭებულ აკადემიურ ხარისხებს და კვალიფიკაციებს;
- 3) სასწავლებლის მიერ უმაღლესი განათლების კრედიტების აღიარება ეფუძნება მათ შესაბამისობას სასწავლებლის უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამასთან;
- 4) უცხოეთის უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარება ფორმდება სასწავლებლის მიერ შემუშავებული დასკვნის საფუძველზე, რომელშიც მიეთითება პირის მიერ უცხოეთში სწავლის პერიოდში გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამასთან, ასევე აღიარებული კრედიტების რაოდენობა;
- 5) აღიარებას ექვემდებარება უსდ-ს უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- 6) სასწავლებელი უფლებამოსილია გასაუბრების ან გამოცდის საფუძველზე დაადგინოს მობილობის კანდიდატის ცოდნისა და უნარების თავსებადობა სასწავლებლის საბაკალავრო პროგრამასთან კანონდებლობით დადგენილი წესით;
- 7) მიღებული კრედიტების აღიარება ხდება სტუდენტის მიერ შესწავლილი და სასწავლებელში არჩეული საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმების და პროგრამის კომპონენტების თავსებადობის დადგენის გზით. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების კრედიტების აღიარება შეიძლება მოხდეს სტუდენტის მიერ შესწავლილი საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო კურსების სილაბუსების შინაარსობრივი შესწავლის საფუძველზე ან/და გასაუბრების/გამოცდის საფუძველზე სასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამასთან სტუდენტის კომპეტენციების თავსებადობის/შესაბამისობის დადგენის გზით.
- 8) აღიარებას ექვემდებარება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების და პროგრამის თავისუფალი კომპონენტის ე.წ. „თავისუფალი კრედიტები“;




**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**უმაღლესი (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება**

Regulation for Managing the High (Bachelor) Educational Process

- 9) სტუდენტის მიერ შესწავლილი სასწავლო კურსები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული სასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამით, შესაძლებელია აღიარებული იქნეს არჩევითი სასწავლო კურსების (თუ სასწავლებლის პროგრამა მიმართულების/სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების გარდა ითვალისწინებს სხვა არჩევით სასწავლო კურსებსაც) ან თავისუფალი კრედიტების (თუ სასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს თავისუფალ კრედიტებს) სახით – 1) თუ ამის შედეგად არჩევითი სასწავლო კურსების/თავისუფალი კომპონენტის კრედიტების რაოდენობა გაუტოლდება სასწავლებლის პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი სასწავლო კურსების/თავისუფალი კომპონენტის კრედიტების ჯამურ რაოდენობას, მაშინ სტუდენტი არ არის ვალდებული სწავლის პერიოდში შეისწავლოს არჩევითი სასწავლო კურსები/თავისუფალი კრედიტები; 2) თუ სტუდენტის მიერ მიღებული არჩევითი სასწავლო კურსების/თავისუფალი კრედიტების რაოდენობა მეტია, ვიდრე ეს არის გათვალისწინებული სასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამით, მაშინ სტუდენტის არჩევანით აღიარებული იქნება მხოლოდ სასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი სასწავლო კურსების/თავისუფალი კრედიტების ნორმირებული რაოდენობა;
- 10) თუ სტუდენტის მიერ შესწავლილი საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს დამატებით სპეციალობას და სტუდენტს სრულად აქვს მიღებული დამატებითი სპეციალობის კრედიტები, მაშინ დამატებითი სპეციალობის პროგრამა იქნება აღიარებული და აისახება დიპლომის დანართში. ხოლო, თუ დამატებითი სპეციალობის პროგრამის კრედიტები არ არის სრულად მიღებული, მაშინ ხდება სასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამისა და სტუდენტის მიერ შესწავლილი სასწავლო კურსების (მიღებული კრედიტების) შედარება მათი აღიარების შესაძლებლობის დადგენის მიზნით;
- 11) თუ სტუდენტის მიერ შესწავლილი ზოგადი ხასიათის სასწავლო კურსის დასახელება არ ემთხვევა სასწავლებლის პროგრამის ანალოგიური სასწავლო კურსის დასახელებას – მაშინ შესაძლებელია მათი აღიარება სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად, თუკი სასწავლო კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგების ანალიზის შედეგად დასტურდება კურსების თავსებადობა.
- 12) თუ შესწავლილი ზოგადი ხასიათის სასწავლო კურსის კრედიტი ნაკლებია სასწავლებლის პროგრამის ანალოგიური სასწავლო კურსის კრედიტზე, მაშინ - 1) არაუმეტეს 1 კრედიტის სხვაობის შემთხვევაში შესაძლებელია შესწავლილ სასწავლო კურსს მიენიჭოს სასწავლებლის პროგრამით გათვალისწინებული მეტი კრედიტი (მაგ., 4-კრედიტიანი კურსი აღიარებული იქნება 5-კრედიტიანად), 2) 2 კრედიტის სხვაობის შემთხვევაში შესწავლილ სასწავლო კურსის და სასწავლებლის პროგრამის ანალოგიური სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შესაბამისობის შემთხვევაში შესწავლილ სასწავლო კურსს შეიძლება მიენიჭოს სასწავლებლის პროგრამით გათვალისწინებული მეტი კრედიტი (მაგ., 3-კრედიტიანი სასწავლო კურსი აღიარებული იქნება 5-კრედიტიანად); 3) 2 კრედიტზე მეტი სხვაობის შემთხვევაში არ ხდება კრედიტის აღიარება;
- 13) თუ სტუდენტის მიერ შესწავლილი მიმართულების/სპეციალობის სასწავლო კურსის დასახელება არ ემთხვევა სასწავლებლის პროგრამის ანალოგიური სასწავლო კურსის დასახელებას – მაშინ შინაარსობრივი შესწავლის (მიზნების, შინაარსის, სავალდებულო/მირითადი ლიტერატურის და სწავლის შედეგების შედარების) საფუძველზე შესაძლებელია დადგინდეს სტუდენტის მიერ შესწავლილი და სასწავლებლის პროგრამის ანალოგიური სასწავლო კურსების შესაბამისობა და მოხდეს მისი აღიარება სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად;
- 14) თუ სტუდენტის მიერ შესწავლილი მიმართულების/სპეციალობის სასწავლო კურსის კრედიტი ნაკლებია სასწავლებლის პროგრამის ანალოგიური სასწავლო კურსის კრედიტზე, მაშინ - 1) არაუმეტეს 1 კრედიტის სხვაობის შემთხვევაში შინაარსობრივი შესწავლის (მიზნების, შინაარსის, სავალდებულო/მირითადი ლიტერატურის და სწავლის შედეგების შედარების) საფუძველზე



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**უმაღლესი (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება**

Regulation for Managing the High (Bachelor) Educational Process


სტუდენტის მიერ შესწავლილ სასწავლო კურსს შესაძლებელია მიენიჭოს სასწავლებლის პროგრამით გათვალისწინებული მეტი კრედიტი (4-კრედიტიანი კურსი აღიარებული იქნება 5-კრედიტიანად); 2) 1 კრედიტზე მეტი განხვავების შემთხვევაში არ მოხდება კრედიტების აღიარება;

- 15) თუ სტუდენტის მიერ შესწავლილი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა აღემატება სასწავლებლის პროგრამის ანალოგიური სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობას - მაშინ ხდება კრედიტების იმ რაოდენობის აღიარება, რამდენსაც ითვალისწინებს სასწავლებლის პროგრამა (მაგ., თუ სტუდენტის მიერ შესწავლილი სასწავლო კურსი არის 8, ხოლო სასწავლებელში - 5-კრედიტიანი, მაშინ აღიარდება 5 კრედიტი);
- 16) პროგრამების შესაბამისობის დადგენისა და კრედიტების აღიარების შედეგად განისაზღვრება კრედიტების რაოდენობა, რომელიც სტუდენტს უღიარდება სასწავლებლის პროგრამის მიზნებისათვის;
- 17) სწავლის გაგრძელების რეკომენდებული სემესტრის განსაზღვრისას გათვალისწინებული იქნება არა მხოლოდ აღიარებული და მისაღები კრედიტების რაოდენობა, არამედ ის სასწავლო კურსებიც, რომლებიც სტუდენტის მიერ არჩეული სასწავლებლის პროგრამით სავალდებულოა და წარმოადგენს სხვა სავალდებულო სასწავლო კურსების/პროგრამის კომპონენტების შესწავლის წინაპირობას, მაგრამ სტუდენტს აღიარებული არ აქვს. სემესტრის განსაზღვრისას, ასევე, მხედველობაში მიიღება, რომ სტუდენტის მიერ უკვე შესწავლილი სასწავლო კურსები (აღიარებული კრედიტები) შეიძლება იყოს გათვალისწინებული სასწავლებლის პროგრამის მომდევნო სემესტრებში. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სტუდენტს ეძლევა რეკომენდაცია სწავლა განაგრძოს გარკვეული (ქვემოთ მითითებული ან ქვემოთ მითითებულისგან განსხვავებული) სემესტრიდან:

0 - 120 კრედიტი —————> სწავლების I, II, III, IV ან V სემესტრი

121 ან მეტი კრედიტი —————> სწავლების VI, VII ან VIII სემესტრი

- 18) აღიარებული და მისაღები კრედიტების რაოდენობიდან და პროგრამის კომპონენტების წინაპირობებიდან გამომდინარე შესაძლებელია სტუდენტს დასჭირდეს დამატებითი სემესტრ(ებ)ის გავლა და სწავლის გაგრძელება წინამდებარე დებულებით დადგენილი სწავლის გაგრძელების ვადით;
- 19) იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო პროგრამამ, რომლითაც სწავლას აგრძელებს მობილობით გადმოსული სტუდენტი, მისი ჩარიცხვის შემდეგ განიცადა მოდიფიცირება, მაშინ ხდება სხვა უსდ-ში სტუდენტის მიერ უკვე მიღებული კრედიტებისა და სასწავლებლის მოდიფიცირებული პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების თავსებადობის განმეორებითი შესწავლა წინამდებარე მუხლით დადგენილი წესების შესაბამისად. თავსებადობის შემთხვევაში დამატებით აღიარებული იქნება სხვა უსდ-ში სტუდენტის მიერ მიღებული ის სასწავლო კურსების კრედიტები, რომელთა აღიარება არ მოხდა სასწავლებელში სტუდენტის ჩარიცხვის დროს;
- 20) სასწავლებელი უფლებამოსილია გაიანგარიშოს სტუდენტის დატვირთვა კრედიტებით იმ საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომელიც არ არის შედგენილი ECTS-ს შესაბამისად. ამ შემთხვევაში ხდება მითითებული აკადემიური/საკონტაქტო საათების ანალიზი, რის შედეგად სასწავლო კურსებს ენიჭებათ კრედიტები შემდეგი წესის მიხედვით: თუ მითითებულია: 1) საკონტაქტო და დამოუკიდებელი მეცადინეობის საათები, მაშინ მათი ჯამი გაიყოფა 25-ზე (სასწავლებელში 1 კრედიტი = 25 სთ.); 2) მხოლოდ საკონტაქტო საათები (ს.ს.), მაშინ: ა) მოხდება



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**უმაღლესი (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება**

Regulation for Managing the High (Bachelor) Educational Process


მათი შედარება სასწავლებლის ანალოგიურ სასწავლო კურსთან და კრედიტი მიენიჭება ზემოთ მითითებული წესის შესაბამისად, ბ) სასწავლებელში ანალოგიური სასწავლო კურსის არარსებობის შემთხვევაში დამოუკიდებელი მუშაობის საათების (დ.ს.) რაოდენობა ჩაითვლება საკონტაქტო საათების ტოლად (რადგან საკონტაქტო საათების რაოდენობა არ აღემატება დამოუკიდებელი მეცადინეობის საათების რაოდენობას) და სასწავლო კურსის კრედიტი გამოითვლება შემდეგნაირად: $კრედიტი = (ს.ს. + დ.ს.)/25 = (ს.ს. + ს.ს.)/25 = 2 ს.ს./25$ (სადაც 25 არის 1 კრედიტის შესაბამისი საათები) და მიღებული რიცხვი მრგვალდება მთელ რიცხვამდე დამრგვალების წესის შესაბამისად;

- 21) სასწავლებელი უფლებამოსილია მოახდინოს უსდ-ში მოქმედი შეფასების სისტემის და სასწავლო ბარათში მითითებული შეფასებების ანალიზი და მათი გადაყვანა საქართველოში მოქმედი შეფასების სისტემის შესაბამის ქულებზე, რაც ხდება სასწავლებელში მოქმედ 100 ქულიან სისტემაზე ნიშნების/ქულების პირობითი გადაყვანით მაქსიმალური ქულის მინიჭების პრინციპით: შეფასების 5-ბალიანი სისტემის სასწავლებელში მოქმედ 100-ქულიან სისტემაზე გადაყვანა:

5-ბალიანი სისტემა		შეფასება საქართველოში მოქმედი 100-ქულიანი სისტემის შესაბამისად		
ფრიადი	5	100	A	ფრიადი
კარგი	4	80	C	კარგი
დამაკმაყოფილებელი	3	70	E	დამაკმაყოფილებელი
არადამაკმაყოფილებელი	0-2	0	F	ჩაიჭრა

თუ სტუდენტს მიღებული აქვს:

- 1) ე.წ. „დიფერენცირებული ჩათვლა“ (ნიშნის მითითებით), მაშინ ხდება მისი გადაყვანა 5-ბალიანი სისტემიდან 100-ქულიან სისტემაზე სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების გათვალისწინებით ზემოთ მითითებული ცხრილის შესაბამისად;
 - 2) ე.წ. ”ჩათვლა“ (ნიშნის გარეშე), მაშინ ხდება მისი გადაყვანა 100-ქულიან სისტემაზე მაქსიმალური ქულის მინიჭებით (ჩათვლა = 100)
- 22) თუ უსდ, რომელშიც სწავლობს/სწავლობდა სტუდენტი, იყენებს/იყენებდა ECTS-ისგან განსხვავებულ საკრედიტო სისტემას, მაშინ მობილობით მოსარგებლე სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს უსდ-ს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, სადაც აღწერილია საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოქმედი საკრედიტო სისტემა და მითითებულია ამ სისტემის შესაბამისობა ECTS-სთან;
- 23) პროგრამის (კრედიტების) აღიარების აქტი ფორმდება სასწავლებლის ფაკულტეტის დეკანის მოტივირებული გადაწყვეტილების (დასკვნის) საფუძველზე და მასში მიეთითება სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სასწავლებლის პროგრამასთან, აღიარებული კრედიტების რაოდენობა სასწავლო კურსების დასახელების მითითებით. მიღებული გადაწყვეტილება უნდა ეცნობოს მობილობის მსურველ სტუდენტს. სასწავლებელი კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების, სასწავლებლის მიერ მიღებული დასკვნის და სტუდენტის თანხმობის საფუძველზე, შეიმუშავებს სამართლებრივი აქტის პროექტს სტუდენტების ჩარიცხვის თაობაზე. სტუდენტის ჩარიცხვა მოხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**უმაღლესი (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება**

Regulation for Managing the High (Bachelor) Educational Process

- 24) შესაძლებელია მოხდეს საცურაო პრაქტიკის კომპონენტის აღიარება, თუ სტუდენტი გამონაკლის შემთხვევაში გადაწყვეტს, დამოუკიდებლად გაიაროს საცურაო პრაქტიკა იმ შემთხვევაში, თუ შორეული ნაოსნობიდან ჩამოიტანს დახასიათებასა და გემზე მუშაობის აღიარებულ სტაჟს - ნაოსნობის დამადასტურებელ დოკუმენტს, შეასრულებს პრაქტიკის ანგარიშს, მაგრამ უნდა ჩააბაროს სასწავლებელში დადგენილი წესით პრაქტიკის ანგარიშის დაცვა, რომელიც დასკვნითი გამოცდის ჩაბარების ტოლფასია;


11. სტუდენტის მიღწევების შეფასების შეწონილი ქულა (GPA)

- 1) აკადემიური მოსწრების მაჩვენებლების (კოეფიციენტების) გაანგარიშების მიზანია შპს ბუსსს ანრის სტუდენტის მიღებული შეფასებების აღიარების გამარტივება იმ უსდ-ის მიერ, რომელიც იყენებს საქართველოში მოქმედისგან განსხვავებულ, მათ შორის, GPA (Grade Point Average) შეფასების სისტემას, და საქართველოში მოქმედ შეფასების სისტემასთან ასეთ უსდ-ში მიღებული შეფასებების თავსებადობის დადგენა. GPA დამოკიდებულია სემესტრში/აკადემიური წლის განმავლობაში მისაღები და სტუდენტის მიერ მიღებული კრედიტების რაოდენობაზე და სასწავლო კურსებში/პროგრამის კომპონენტებში მიღებულ შეფასებებზე (ქულებზე). გაანგარიშებისას მიღებული ციფრები მრგვალდება შემდეგი პრინციპით: ოთხი და ოთხს ქვევით - სიმცირისაკენ. გამოთვლები შესრულდება დამატებითი გამოცდების ჩატარების შემდეგ.
- 2) თუ სტუდენტს არ აქვს მიღებული საგანმანათლებლო პროგრამისთვის დადგენილი კრედიტების რაოდენობა, მაშინ საგანმანათლებლო პროგრამის GPA = 0.
- 3) დიპლომის GPA უდრის საგანმანათლებლო პროგრამის GPA-ს. თუ სტუდენტს არ აქვს მიღებული საგანმანათლებლო პროგრამისთვის დადგენილი კრედიტების სრული რაოდენობა (240 ECTS კრედიტი), მაშინ საგანმანათლებლო პროგრამის GPA = 0.
- 4) დანართი 5-ში მოცემულ შეფასების სისტემაში "-" და "+" გრადაციები და შესაბამისი ქულები შემოღებულია საქართველოში მოქმედი სტუდენტთა მღწევების შეფასების 100 ქულიანი სისტემის ფარგლებში სტუდენტის მიღწევების უკეთ წარმოჩენისა და აკადემიური მოსწრების მაჩვენებლების (შეფასების კოეფიციენტების) უფრო დეტალურად გამოთვლის მიზნით.

12. განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტები - სპეციალური მოთხოვნები ჯანმრთელობასა და ფიზიკურ მდგომარეობაზე

აბიტურიენტები, რომელთაც სურვილი აქვთ ჩაირიცხონ სასწავლებლის საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტზე, ვალდებული არიან საზღვაო ფლოტის გემებზე მუშაობის უფლების მოსაპოვებლად გაიარონ სპეციალური სამედიცინო შემოწმება (ფორმა #IV-100/ა) სამედიცინო ცენტრებში, რომელთაც აქვთ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს სათანადო აღიარება. სამედიცინო შემოწმების აუცილებლობა გამოწვეულია საზღვაო ფლოტის გემებზე მუშაობის სპეციფიკურობით დაგათვალისწინებულია, როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ნორმატიული დოკუმენტებით:

- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 11 ივლისის ბრძანება N 215/ნ;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 26 თებერვლის №01 ბრძანებით „მეზღვაურთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“;
- IMO-ს ნორმატიული დოკუმენტები საერთაშორისო კონვენცია „მეზღვაურთა მომზადების დიპლომირებისა და ვახტის გაწევის შესახებ“, ცვლილებებით რეგულაცია I/9; ნაწილი B-I/9; ცხრილი B- I/9-1 (International Convention on Standards of Training, Certification and Watchkeeping for Seafarers, as amended Regulation I/9; section B-I/9; Table B- I/9-1, B-I/9-2);



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

უმაღლესი (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება


Regulation for Managing the High (Bachelor) Educational Process

➤ უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი 2017 წ.

13. საბაკალავრო პროგრამების შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ამ პროგრამებზე

ჩარიცხული ბაკალავრების შემდგომი განათლების უზრუნველყოფის მექანიზმი

- 1) საზოგადოებისათვის უკეთესი მომსახურების შეთავაზების, სწავლის ხარისხის გაუმჯობესების, პროგრამის დახვეწის ან მისი სათანადო მატერიალური ან/და ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფის არარსებობის შემთხვევაში სასწავლებელმა შეიძლება შეცვალოს ან გააუქმოს საგანმანათლებლო პროგრამა. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სასწავლებელი იღებს ვალდებულებას სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფაზე. პროგრამის შეცვლის ან გაუქმების მიზეზი შეიძლება იყოს:
 - პროგრამის შეცვლა მანამდე, ვიდრე სტუდენტი დაასრულებს პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების სრულად მოპოვებას;
 - პროგრამის გაუქმება მანამდე, ვიდრე სტუდენტი მოიპოვებდეს პროგრამით გათვალისწინებულ აკადემიურ ხარისხს;
 - პროგრამის არ ამოქმედება ერთიანი ეროვნული გამოცდებით პირველ კურსზე ჩასარიცხი კონტიგენტის არ არსებობის შემთხვევაში;
 - სტუდენტის აკადემიური შედეგებიდან დაბრუნების შემთხვევაში, როცა ამ პერიოდისათვის პროგრამა გაუქმდა ან შეიცვალა;
 - ფორს-მაჟორული სიტუაცია და სხვა გაუთვალისწინებელი შემთხვევები.
- 2) აკადემიური პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ამ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების აღიარება ხდება სასწავლებელში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად;
- 3) საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესები:
 - რეალიზებულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების (მაგალითად, საგნის დამატება, სპეციალიზაციის ჩანაცვლება, გაუქმება) შეტანის შემთხვევაში, ცვლილება არ გავრცელდება საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების მიერ უკვე გავლილ საგნებსა და მოპოვებულ კრედიტებზე;
 - სასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის უფლებით სარგებლობას უზრუნველყოფს შესაბამისი (მიმღები) ფაკულტეტის დადგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების (ECTS კრედიტებისა) აღიარების პირობების შესაბამისად;
 - რეალიზებული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, სტუდენტთა ინტერესების დაცვისა და შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით, ვალდებულია შეისწავლოს გასაუქმებელი საგანმანათლებლო პროგრამის მომიჯნავე საგანმანათლებლო პროგრამასთან გაერთიანების ან საგანმანათლებლო პროგრამით ჩანაცვლების შესაძლებლობის საკითხი და ინფორმაცია წარუდგინოს სენატს;
- 4) პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში სასწავლებელი ითვალისწინებს სტუდენტთა კანონიერ ინტერესებს და სტუდენტს აძლევს პროგრამის შეუფერხებლად დასრულების შესაძლებლობას. რეალიზებული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების (დაწესებულების სურვილით და არა გარე ფაქტორებით, როგორცაა აკრედიტაციის ან ავტორიზაციის გაუქმება) შესახებ სენატის გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, დაწესებულებას მიღევად რეჟიმში



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

უმაღლესი (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება


Regulation for Managing the High (Bachelor) Educational Process

გადაყავს პროგრამა და აძლევს საშუალებას სტუდენტებს დაასრულოს საგანმანათლებლო პროგრამა. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით შპს „ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი“ მოქმედებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად და ვალდებულია:

- მობილობის განხორციელების მიზნით სტუდენტს შესთავაზოს ECTS (კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული სისტემა) კრედიტებთან შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამები;
 - სტუდენტს შესთავაზოს მობილური და მოქნილი საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებშიც წარმოდგენილი იქნება ისეთი სასწავლო კურსები/მოდულები, რომელიც სტანდარტული და არსებითი იქნება სხვა პროგრამაში გადასვლის შემთხვევაში და ამ გზით მოხდება მაქსიმალური რაოდენობის კრედიტების აღიარება;
 - მოახდინოს საქართველოში არსებული ავტორიზებული უსდ-სა და მათ მიერ რეალიზებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციით სტუდენტების უზრუნველყოფა;
 - გააცნოს სტუდენტებს მობილობის წესი, ვადები და პირობები;
- 5) თუ სასწავლებელში არ ხორციელდება გაუქმებულ პროგრამასთან თავსებადი საგანმანათლებლო პროგრამა, მაშინ სენატი აფორმებს შეთანხმებას/ხელშეკრულებას სხვა ავტორიზებულ და აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის აღიარებისა და სტუდენტის მიერ ამ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობების შესახებ.

14. სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა

- 1) ბუქსს ანრის უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე ლიკვიდაციის შემთხვევაში, სასწავლებლის სტუდენტები ჩაითვლებიან სტატუსშეჩერებულ პირებად და აკადემიურ პროგრამებზე ჩარიცხულ ყველა სტუდენტზე ვრცელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ“ გათვალისწინებული პირობები;
- 2) აკადემიური პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს სასწავლებლის სტატუსის შეცვლით ან სხვა ობიექტური მიზეზებით, გაუქმებულ პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტები სარგებლობენ სტუდენტის სტატუსით და შემდგომი განათლების უზრუნველყოფის მიზნით:
 - სარგებლობენ სხვა უმაღლეს სასწავლებლებში მობილობის უფლებით დადგენილი წესების შესაბამისად;
 - სასწავლებელი თავისი კომპეტენციისა და შესაძლებლობების ფარგლებში ხელს უწყობს სტუდენტს სწავლის გაგრძელებაში, რისთვისაც: „გემის მექანიკა“ და „საზღვაო ნავიგაცია“ პროგრამის გაუქმების ან შეცვლის შემთხვევაში სტუდენტებს თავაზობს ამ მიმართულებით მოქმედ თავსებად სხვა აკადემიურ პროგრამებზე (თუ ასეთი არსებობს) სწავლის გაგრძელებას შეცვლილი ან გაუქმებული პროგრამების ფარგლებში მიღებული კრედიტების აღიარებით;
 - ვალდებულია, სტუდენტებს მიაწოდოს სრული ინფორმაცია მონათესავე უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების შესახებ.
- 3) საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების (დაწესებულების სურვილით და არა გარე ფაქტორებით, როგორცაა აკრედიტაციის ან ავტორიზაციის გაუქმება) შემთხვევაში



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**უმაღლესი (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება**

Regulation for Managing the High (Bachelor) Educational Process

ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

- 4) ერთიანი ეროვნული გამოცდებით პირველ კურსზე ჩარიცხული სტუდენტისათვის გამოცხადებული პროგრამის არ ამოქმედების შემთხვევაში სასწავლებელი ვალდებულია:
- სტუდენტს შესთავაზოს სასწავლებელში სხვა თავსებად აკადემიურ პროგრამაზე სწავლის გაგრძელება და გამოცდების ეროვნული ცენტრის და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან მიღებული თანხმობის საფუძველზე ჩარიცხოს სტუდენტად შეთავაზებულ სხვა პროგრამაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
 - გონივრულ ვადაში დახმარებისათვის მიმართოს სტუდენტისათვის საკითხის დადებითად გადაწყვეტის მიზნით განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს;
 - სტუდენტს შეთავაზოს სწავლების ინდივიდუალური ფორმა (გრაფიკი) და თანხმობის შემთხვევაში იზრუნოს შესაბამისი პირობების შესრულებაზე.


15. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის პირობები

- 1) შპს ბუსსს ანრიში უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა წარმოებს საქართველოში მოქმედი უსდ-ში ჩარიცხვის ერთიანი წესების შესაბამისად;
- 2) აბიტურიენტი აბარებს ერთიან ეროვნულ გამოცდებს, რომლის შედეგების საფუძველზე საქართველოს შეფასებისა და გემოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას აბიტურიენტთა სავარაუდო ჩარიცხვის შესახებ. ეს ბრძანება ეგზავნება უმაღლეს სასწავლებელს, რომლის საფუძველზეც სასწავლებლები აწარმოებენ სტუდენტის რეგისტრაციას;
- 3) რეგისტრაციისათვის აბიტურიენტმა, შემდგომ უკვე სტუდენტმა, უნდა წარმოადგინოს საჭირო დოკუმენტაცია.
- 4) საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ შპს ბუსსს ანრი სტუდენტთან აფორმებს ხელშეკრულებას, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი სტუდენტისა და სასწავლებლის უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები;
- 5) სტუდენტთა რეგისტრაციის დასრულების შემდეგ შპს ბუსსს ანრის რექტორი გამოსცემს ბრძანებას სასწავლებელში სტუდენტის(ების) ჩარიცხვის შესახებ და წარუდგენს საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს;
- 6) ჩარიცხულ სტუდენტთა შესახებ ინფორმაცია უნდა აისახოს განათლების საინფორმაციო მართვის სისტემის სტუდენტთა რეესტრში.

16. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტები

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად სტუდენტმა უნდა წარადგინოს შემდეგი საბუთები:

- ✓ განცხადება რექტორის სახელზე;
- ✓ ჯანმრთელობის ცნობა ნაოსნობისათვის ვარგისიანობის შესახებ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ აღიარებული სამედიცინო ცენტრიდან;
- ✓ ცნობა ნარკოლოგიური დისპანსერიდან
- ✓ ცნობა ფსიქოლოგიური დისპანსერიდან
- ✓ სამხედრო მიწერის მოწმობა (საქართველოს რეზერვისტის დროებითი მოწმობა);
- ✓ 4 ცალი ფოტო სურათი;
- ✓ პასპორტის ქსეროასლი;
- ✓ სწავლის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**


**უმაღლესი (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება**

Regulation for Managing the High (Bachelor) Educational Process

შენიშვნა: ზემოჩამოთვლილი დოკუმენტების გარდა, ბუსსს ანრის უფლება აქვს, უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს, კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის მიხედვით, მოთხოვოს სხვა დამატებითი დოკუმენტები.

17. სტუდენტთა მობილობა

- 1) მობილობა ნიშნავს სტუდენტების თავისუფალ გადაადგილებას სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესებში მონაწილეობის მისაღებად როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, რასაც თან სდევს სწავლის პერიოდში მიღებული განათლების (კრედიტების) აღიარება;
- 2) მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში;
- 3) მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი წლის შემდეგ. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი;
- 4) მობილობის უფლება აქვს პირს: რომლის დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის არის დაწესებულების სტუდენტი ან შეჩერებული აქვს დაწესებულების სტუდენტის სტატუსი;
- 5) მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს კალენდარული წლის განმავლობაში 2-ჯერ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილ ვადაში კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;
- 6) მობილობის მსურველის სტატუსს სტუდენტი მოიპოვებს დადგენილი წესით სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციით;
- 7) სტუდენტი მობილობის ელექტრონულ პორტალზე მომხარებლად რეგისტრირდება თერთმეტნიშნა კ/ნომრის მეშვეობით;
- 8) პორტალზე მომხარებლად რეგისტრაციის უფლება აქვს, პირს, რომელიც ასახულია საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში და კანონმდებლობით დადგენილი წესით მოპოვებული აქვს სტუდენტის სტატუსი;
- 9) სტუდენტმა, რომლის მონაცემებიც არ ფიქსირდება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში, შესაბამისი ინფორმაციის რეესტრში ასახვის მიზნით მიმართავს ცენტრს ან/და იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელშიც ირიცხება სტუდენტი და საიდანაც უფლებამოსილია განხორციელოს მობილობა. ხოლო თუ დაწესებულება, რომელშიც ირიცხება სტუდენტი ლიკვიდირებულია, უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე გააკეთოს ელ-განაცხადი მობილობაზე: დააფიქსიროს არჩევანი (უსდ, პროგრამა) და დააღაგოს იგი პრიორიტეტებად;
- 10) მობილობის მსურველს შეუძლია პორტალზე აირჩიოს არაუმეტეს ხუთი საგანმანათლებლო პროგრამა და/ან საგანმანათლებლო ერთეული (ასეთის არსებობის შემთხვევაში). მობილობის მსურველი უფლებამოსილია, გააკეთოს არჩევანი პრიორიტეტულობის პრინციპის (უპირატესობის პრინციპის) დაცვით. პრიორიტეტულობის პრინციპი ნიშნავს სტუდენტისთვის სასურველი პროგრამების ჩამონათვლის დადგენას (დალაგებას) პრიორიტეტული რიგითობით (თანმიმდევრობით), რომელზეც სურს ჩარიცხოს მობილობის წესით;
- 11) მობილობის მსურველმა თითოეული არჩევანი უნდა დაარეგისტროს ცალ-ცალკე. შეცდომის დაშვების შემთხვევაში, ელექტრონული პორტალი იძლევა სტუდენტის მიერ არჩეული პროგრამების შეუზღუდავი რაოდენობით რედაქტირების საშუალებას, (თანმიმდევრობის შეცვლა, არჩეული პროგრამის წაშლა, ახლის დამატება და ა.შ.);




**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**უმაღლესი (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება**

Regulation for Managing the High (Bachelor) Educational Process

- 12) პორტალზე განაცხადის რეგისტრაციის ვადის დასრულებამდე, სტუდენტი უფლებამოსილია შეცვალოს/წაშალოს მის მიერ გაკეთებული არჩევანი;
- 13) გადაიხადოს მობილობის საფასური (40 ლარი) სს საქართველოს ბანკში (თანხის გადახდა შესაძლებელია მხოლოდ, მას შემდეგ, რაც სტუდენტი დარეგისტრირდება ელ-პორტალზე მომხმარებლად და გააკეთებს არჩევანს); მობილობის საფასურის გადახდისათვის, სტუდენტმა უნდა მიაკითხოს სს საქართველოს ბანკის ნებისმიერ ფილიალს, მიმართოს ბანკის ოპერატორს აღნიშნულის თაობაზე და წარუდგინოს პირადობის მოწმობა;
- 14) მობილობის საფასურის გადახდისაგან თავისუფლდება:
 - ა) სტუდენტი, რომლის საგანმანათლებლო დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია;
 - ბ) სტუდენტი, რომლის ოჯახიც მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის პერიოდში რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მისი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს.
- 15) მობილობის მსურველის განაცხადი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება განხილული პორტალზე შედეგების დათვლისას, თუ მობილობის მსურველი სტუდენტი მობილობის საფასურს გადაიხდის განაცხადის რეგისტრაციის ვადის დასრულებამდე.
- 16) გამოცხადებულ ვაკანტურ ადგილებზე კონკურსი ელექტრონულ პორტალზე მიმდინარეობს სტუდენტის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტებისა და საკონკურსო ქულის გათვალისწინებით;
- 17) ორი ან მეტი თანაბარი საკონკურსო ქულის მქონე სტუდენტის ბოლო საკონკურსო ადგილზე გასვლის შემთხვევაში, პორტალზე მობილობის უფლებას მოიპოვებს თითოეული მათგანი;
- 18) სტუდენტები, რომლებსაც რეესტრში არ უფიქსირდებათ საკონკურსო ქულა (ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე კანონმდებლობით ჩარიცხული სტუდენტები) პორტალზე მობილობით გადასვლის უფლებას მოიპოვებენ კონკურსის გარეშე (უკონკურსოდ);
- 19) მობილობის შედეგების გამოცხადების შემდგომ, მობილობის პროცესში მონაწილე სტუდენტს შეუძლია საკუთარი შედეგი იხილოს პორტალზე - პირად სარეგისტრაციო ფანჯარაში. აღნიშნულის თაობაზე სტუდენტს ეცნობება მოკლე ტექსტურტი შეტყობინების და ელ.ფოსტის დახმარებით;
- 20) ელექტრონული პორტალის მონაცემების მიხედვით, მობილობის უფლების მოპოვების (დადებითი პასუხის) შემთხვევაში, სტუდენტმა დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს წერილობითი განცხადებით მიმღებ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, მის მიერ დადგენილ ვადებში, და წარადგინოს პირადი საქმის ასლები.
- 21) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლიდანაც გადადის სტუდენტი, არ აქვს უფლება ხელი შეუშალოს მას პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციის ასლების მიღებაში.
- 22) სასწავლებელი უფლებამოსილია განსაზღვროს საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მათ შორის, ჩაატაროს შიდა გამოცდები და სხვ.). სასწავლებელი ადგენს მის მიერ შეთავაზებული და სხვა უსდ-ს საბაკალავრო პროგრამების შესაბამისობას (თავსებადობას) წინამდებარე დებულებაში მითითებული წესის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას კრედიტების აღიარებაზე უარის თქმის ან კრედიტების აღიარების შესახებ და განსაზღვრავს თუ რომელი სემესტრიდან იქნება შესაძლებელი სწავლის გაგრძელება აღიარებული კრედიტების, მისაღები კრედიტების და შესასწავლი სასწავლო კურსების/პროგრამის კომპონენტების წინაპირობების გათვალისწინებით. მიღებული გადაწყვეტილება ეცნობა მობილობის მსურველს.
- 23) თუ სასწავლებელი ადგენს დამატებით მოთხოვნებს, ეს დამატებითი მოთხოვნების არსებობა აისახება ელექტრონულ პორტალზე შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის შენიშვნების გრაფაში და სტუდენტი ვალდებულია აღნიშნულ მოთხოვნებს გაეცნოს და გაითვალისწინოს.




**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**უმაღლესი (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება**

Regulation for Managing the High (Bachelor) Educational Process

- 24) მიღებული გადაწყვეტილება და სტუდენტის თანხმობა არის სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ სასწავლებლის რექტორის ბრძანების პროექტში სტუდენტის ასახვის წინაპირობა. სასწავლებელი შემუშავებულ ბრძანების პროექტს სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის თაობაზე წარუდგენს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას. ბრძანების პროექტზე დადებითი დასკვნის მიღების შემდეგ სასწავლებელში გამოიციემა რექტორის ბრძანება სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის შესახებ. სტუდენტი ვალდებულია წარადგინოს სასწავლებლის მიერ განსაზღვრული ოდენობით სწავლის საფასურის ან სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ გრანტსა და სასწავლებლის მიერ დადგენილ სწავლის საფასურს შორის არსებული სხვაობის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს (თუ სტუდენტი სწავლობს სრული ან ნაწილობრივი თვითდაფინანსებით). მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტთან ფორმდება ხელშეკრულება;
- 25) სასწავლებელში მობილობის წესით სწავლის გაგრძელების უფლებას პირველ რიგში, მოიპოვებენ ის სტუდენტები, რომლებსაც აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა პირველ პრიორიტეტად აქვთ მითითებული, დარჩენილი ადგილები განაწილდება მეორე, მესამე და ა.შ. პრიორიტეტებით რეგისტრირებული განაცხადების შესაბამისად კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღებამდე ჩარიცხული სტუდენტები მობილობის წესით სწავლის გაგრძელების უფლებას მოიპოვებენ მიმდები უსდ-ს მიერ დადგენილი ჩარიცხვის წინაპირობების დაცვით, ამ პირების ჩარიცხვა დასაშვებია მობილობისათვის დარეგისტრირებული ადგილების გადაჭარბებით;
- 26) მობილობის მსურველი, რომელთან დაკავშირებით მის უსდ-ში არსებობს ბრძანება სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების ჩადენის გამო სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ, ვერ ჩაირიცხება სასწავლებელში, თუ სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გამომწვევი მიზეზი შეუთავსებელია სასწავლებლის წესდებასთან და დებულებასთან მიუხედავად იმისა, რომ უსდ-ში სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან 12 თვის შემდეგ, ამ ვადაში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და მას შეუძლია ისარგებლოს მობილობის უფლებით;
- 27) . სტუდენტს შეუძლია მობილობის წესით მიმღებ უსდ-ში სწავლის გაგრძელებაზე უარის თქმა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიმღებ უსდ-ში არ არის გამოცემული ჩარიცხვის შესახებ ბრძანება. ამ დროს სტუდენტს შეუძლია მიმართოს მიმღებ უსდ-ს წერილობით და უარი განაცხადოს მიმღებ უსდ-ში სწავლის გაგრძელებაზე. თუ ჩარიცხვის შესახებ ბრძანება უკვე გამოცემულია, სტუდენტი ითვლება მიმღები უსდ-ს სტუდენტად და სწავლას ვეღარ განაგრძობს ძველ უსდ-ში.
- 28) შიდა მობილობა. სასწავლებლის სტუდენტს უფლება აქვს გადავიდეს სასწავლებლის ერთი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამიდან სხვა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - განახორციელოს შიდა მობილობა. შიდა მობილობა ცხადდება წელიწადში 2-ჯერ, მისი ვადები განისაზღვრება სასწავლებლის რექტორის ბრძანების საფუძველზე. შიდა მობილობის განხორციელებისათვის სასწავლებლის სტუდენტი ფაკულტეტის დეკანს მიმართავს წერილობითი განცხადებით, რომლის საფუძველზეც ხდება სტუდენტის მიერ შესწავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის დადგენა მის მიერ არჩეულ საგანმანათლებლო პროგრამასთან იმავე წესით, როგორც ეს ხდება გარე მობილობის შემთხვევაში. საგანმანათლებლო პროგრამების თავსებადობის და კრედიტების აღიარების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების და სტუდენტის თანხმობის შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია მის მიერ არჩეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლებელში მოქმედი წესის შესაბამისად.



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**უმაღლესი (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება**

Regulation for Managing the High (Bachelor) Educational Process

**18. სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან შპს ბუსსს ანრიში მობილობის წესით ჩასარიცხად
წარმოსადგენი დოკუმენტაცია**

სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან შპს ბუსსს ანრიში მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველებმა განსაზღვრულ ვადებში უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

- ა) განცხადება სასწავლებლის რექტორის სახელზე;
- ბ) პირადობის მოწმობა (ასლი);
- გ) სრული ზოგადი განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის;
- დ) სასწავლო ბარათის დამოწმებული ასლი/აკადემიური ცნობა სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების შესახებ;
- ე) ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტის სტატუსის შესახებ;
- ვ) ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატის ასლი;
- ზ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ბრძანების დამოწმებული ასლი.

19. აღდგენის წესით ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტაცია

აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველებმა რეგისტრაციისათვის განსაზღვრულ ვადებში სასწავლებელში უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

- ა) განცხადება სასწავლებლის რექტორის სახელზე;
- ბ) პირადობის მოწმობა;
- გ) სრული ზოგადი განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის;
- დ) სასწავლო ბარათის დამოწმებული ასლი/აკადემიური ცნობა სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების შესახებ;
- ე) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ბრძანების დამოწმებული ასლი.

**20. შიდა მობილობის წესით, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლისთვის, წარმოსადგენი
დოკუმენტაცია**


- 1) შიდა მობილობის წესით საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის მსურველმა განსაზღვრულ ვადებში უნდა წარმოადგინოს განცხადება სასწავლებლის რექტორის სახელზე.
- 2) განცხადების საფუძველზე ფაკულტეტის დეკანი შეიმუშავებს პროგრამული თავსებადობის და კრედიტების აღიარების დასკვნას.

თავი III

საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება

1. აკადემიური კალენდარი და სტუდენტის სასწავლო დატვირთვა

- 1) აკადემიური პროგრამის ცალკეული კომპონენტების განხორციელების დაგეგმვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ და დასამტკიცებლად წარედგინება სენატს;
- 2) საგანმანათლებლო პროგრამის კალენდარი (სასწავლო წლის კალენდარი) მოიცავს შემდეგი სახის ინფორმაციას: სემესტრის დაწყებისა და დასრულების ვადებს, გამოცდების ვადებს, არდადეგებსა და გამოსასვლელ დღეებს;
- 3) საგანმანათლებლო პროგრამის კალენდრის საფუძველზე ხდება სემესტრული გრაფიკის შემუშავება, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:
 - მეცადინეობათა განრიგი, მეცადინეობათა ტიპების მიხედვით;
 - პრაქტიკის დაწყებისა და დასრულების ვადები;
 - შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის ჩატარების/გადაბარების ვადები



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**უმაღლესი (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება**


Regulation for Managing the High (Bachelor) Educational Process

2. საგანმანათლებლო პროცესის წარმართვა

- 1) სემესტრული რეგისტრაციის შედეგების საფუძველზე საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტი ახდენს სასწავლო პროცესის დაგეგმვას, რაც გულისხმობს: კონტიგენტის შეფასებას, პედაგოგიური პერსონალის მოწვევას და სასწავლო დატვირთვის განაწილებას. ზემოთჩამოთვლილი საკითხები განიხილება სასწავლებლის სენატის სხდომაზე და გადაწყვეტილებები გამოიცემა რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით;
- 2) საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, შემუშავებს სასწავლო მეცადინეობათა ცხრილს, რომელსაც სემესტრის დაწყებამდე ამტკიცებს სასწავლებლის რექტორი. დამტკიცებული მეცადინეობათა ცხრილი, სასწავლო პროცესის დაწყებამდე, არანაკლებ 5 დღით ადრე უნდა განთავსდეს სასწავლებლის სასწავლო კორპუსში თვალსაჩინო ადგილზე და სასწავლებლის ვებ-გვერდზე;
- 3) მეცადინეობათა ცხრილის შემუშავება წარმოებს საგანმანათლებლო პროგრამების (კურიკულუმების) და ოპერატიული სასწავლო გეგმების საფუძველზე, სემესტრულად და მასში მითითებულია სასწავლო დისციპლინის დასახელება, პედაგოგის სახელი და გვარი, მეცადინეობის სახე და აუდიტორიის ნომერი (სადაც ტარდება მეცადინეობა);
- 4) მეცადინეობის/ლექციის ხანგრძლივობა შეადგენს 50 წუთს, მეცადინეობებს შორის შესვენების ხანგრძლივობა - 10 წუთს;
- 5) მეცადინეობების დაწყებამდე ფაკულტეტის დეკანი აკონტროლებს სასწავლო კაბინეტების, ლაბორატორიების, რეალური და ვირტუალური ტრენაჟერებისა და სასწავლო სახელოსნოების სრულ მზადყოფნას.

3. დამატებითი სემესტრის გავლა

- 1) სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ვადებსა და თვითდაფინანსების ფარგლებში განმეობით მოისმინოს ცალკეული სასწავლო კურსი სემესტრული სამუშაო ნორმად დადგენილი კრედიტების ოდენობით (არაუმეტეს 15 კრედიტისა);
- 2) სტუდენტს, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადაში ვერ მოიპოვა შესაბამისი აკადემიური ხარისხი, უფლება ეძლევა თვითდაფინანსების გზით დაასრულოს სასწავლო პროგრამა არაუმეტეს 4 დამატებითი სემესტრის ვადაში;
- 3) სტუდენტს დამატებითი სემესტრის სწავლის საფასური განესაზღვრება შესწავლილი დისციპლინების კრედიტების მოცულობით ან სემესტრული გადასახადის შესაბამისად, შემდეგი წესით:
 - ✓ სემესტრში დაგეგმილი საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილის (30 კრედიტის მოცულობით) სრულად გავლის შემთხვევაში საფასური განისაზღვრება მიმდინარე სასწავლო წელს დადგენილი ტარიფით;
 - ✓ ცალკეული სასწავლო კურსის შესწავლისას საფასური განისაზღვრება საგნისთვის მინიჭებული კრედიტის შესაბამისად. ერთი კრედიტის საფასური შეადგენს სემესტრული სწავლის საფასურის ოცდამეათედს (1/30);
 - ✓ სტუდენტს, რომელიც წინასწარ განსაზღვრულ დამატებითი სასწავლო ვადებში ვერ დააგროვებს შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის საჭირო კრედიტების რაოდენობას, უწყდება სტუდენტის სტატუსი და მასზე გაიცემა აკადემიური ცნობა ათვისებული კრედიტების შესახებ.




შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

უმაღლესი (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამების
სასწავლო პროცესის მართვის დებულება

Regulation for Managing the High (Bachelor) Educational Process

